ლიტერატურული
# საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 50 (2829) გამოცემის 61-ე წელი: 13 დეკემბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



10 დეკემბერს, მთავრობის სახლთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა დაცვას.

ბელა შალვაშვილი

## იგი

ამქვეყნად იგი მოსულია ერთი მისიით —
სამშობლოს თვისას და ხალხს თვისას წყლული უხოცოს,
იგი ნუგეშად მოვლენია ყველა მისიანს,
უდრეკი არის და უშიში ვითა უხორცო.

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

მზეჭაბუკისგან განსხვავებით, არა ცხრათავას,
ათასთავიანს უბოროტეს დევს ეჭიდება;
ღმერთის და კაცის წინაშეა ცამდე მართალი,
თვინიერ ამის, არც სჭირდება სხვა რამ დიდება.

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

ის ათასთავა ურჩხულს ებრძვის თავისი მცირე,
სიყვარულივით ზღვარდაუდებ მამულის ხსნისთვის,
ვერცრა დააცხრობს, არ ეწევა საწადელს ვიდრე,
არ ეხარბება დიდზე დიდიც სამშობლო სხვისი.

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

ათასი წლისაც რომ შეიქნას, მაინცლა ისევ
მოვიხსენიებ მზეჭაბუკად, მშვენებით რადგან
ათასებშიაც შეიცნობა, იცნობა მყისვე, —
ხატებას მისას ჩაუქრობი ნათელი ადგას.

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

მისი სატრფოა საქართველო, ნესტანი ანუ,
ნესტანის ხსნისთვის ათასთავას იმ დევს შებმია,
მისთვის ულვრია ცხარე ცრემლი ცხადლივ და მალულ,
თუმცა, უგნურნი საქმეს მისას ვერცა ხვდებიან...

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

მზეჭაბუკივით მასაც დასდევს შური და მტრობა,
და ბრძენის დიდი მიტევების უნარით აღვსილს,
ძალუძს, მისდიოს გზას, რომელსაც მიუძღვნა ყოფა,
რაც მიწყივ იყო და არს მისი არსობის არსი...

იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია.

# სიტყვის მახვილი

თითქმის ორასი წელია, საქართველო სიტყვის მახვილით იცავს თავს და სიტყვის მახვილით იგერიებს რკინით შეჭედილი მრისხანე იმპერიის შემოტევას.

ხანგრძლივი და უწყვეტია ეს ბრძოლა, თაობიდან თაობაზე გარდამავალი, ერის გონებისა და გრძნობის შეხაკრებელი, ძალისა და ნებისყოფის გამოსაცდელი, სულიერების ამამაღლებელი...

იცვლებიან ეპოქები, საზოგადოებრივი წყობილებები, ხელისუფლებები და ხელისუფალნი, იცვლება დამოკიდებულებები და შეხედულებები, იცვლება ბრძოლის ტაქტიკა, მაგრამ არ იცვლება მიზანი და სტრატეგია.

ხან ცრემლი სდის სიტყვას, ხან ფოლადი ერევა თავგამეტებით და მედგარად სცემს იმპერიის ჯავშანს, სისხლისაგან იწრიტება, ეცემა, დგება, ხან უძლურია, მაგრამ უმეტესად მიზანში ხვდება. თავისუფლებისათვის მებრძოლი დიადი ქართული სიტყვის ენერგია აზიანებს, ბზარავს, არყევს სულისშემხუთავი საპყრობილის კედლებს.

საუკუნიდან საუკუნეში, ათწლეულიდან ათწლეულში გარდამავალი, მძიმე და ხანგრძლივია ეს პროცესი, მაგრამ თაობათა ცხოვრებას აზრს აძლევს, სიცოცხლის უქმად ჩამოლევას არ აცდენს.

ეს ბრძოლა გადაარჩენს ათასეულებს, მილიონებს, ისინი გამოვლიან ზნეობრივი განსაწმენდელის ბეწვის ხიდზე და პირნათელნი მოაღწევენ აგერ, ჩვენს დრომდე.

თუმცა მცირედნი — ცდომილნი, მტრის მსუყე ლუკმას დახარბებულნი, ყოველ დროსა და ყოველ ჟამ იქმენ მცირე და დიდ ლალატებს, მცირე და დიდ სულმდაბლობებს, მცირე და დიდ სილაჩრეებს, მაგრამ ერი წინ მიდის, ბნელის წიაღში ღვთისშვილივით განათებულ სიტყვას მიჰყვება, გამარჯვებისა და თავისუფლებისაკენ რომ მიუძღვის:

„...და გადარჩა
ის, როგორც ერი —
აქ პოეზია იყო მისი
შემჭიდროება“.

...პათეტიკური ნოსტალგია სიტყვის მახვილით გადატანილ უმძიმეს ომებზე... ესეც დროის ქარებს მოყოლილი ტკივილია, ტკივილი რევოლუციური დროისა, ერის ყოფიერების თვისობრივად ახალ სამყაროში, ახალ განზომილებებში გადასვლის ტკივილი.

ამ მძიმე განსაცდელისას რაღაც ილახება, მდაბლდება, უფასურდება, რევოლუციური ნგრევის ინსტინქტი და რადიკალიზმი უცერემონიოდ ეხება ყველას და ყველაფერს, მისთვის წარსული ერთი მთლიანი, უფორმო და უსახური მასაა, რომელიც მხოლოდ დავიწყებად თუ ღირს.

ეს რასაკვირველია, არ არის სწორი, მაგრამ მსგავსი შეცდომა ტრადიციად ქცეული ისტორიული კანონზომიერებაა.

რაღაცამ დაკარგა აზრი, რაღაც მოსწყდა ეროვნულ სხეულს, დავიწყების წიაღში დაინთქა და ამ გახლეჩის მწარე, მტანჯველი შეგრძნებით ისადგება მტანჯველი კითხვები: რა ხდება? რატომ ხდება? ვინ არ იბრძოდა? ვინ იყო დროის მძლავრთა და ხელისუფალთა მსახური? ვინ გაყიდა და ვინ ყიდის სულს? რისთვის გაყიდა და რისთვის ყიდის?

ვაი, თუ ნიჰილიზმის მღვრიე ტალღებმა წალეკონ დიდებული ხმები დიდებული ომებისა, როცა ქართული სიტყვა მედგრად სცემდა იმპერიის ჯავშანს და ამ ბრძოლას ყურს უგდებდა სრულიად საქართველო, ამ ბრძოლის ხმაზე ფხიზლდებოდა, იკვრებოდა, მთლიანდებოდა, მაღლდებოდა, ემზადებოდა, „შენ ისე ღრმა ხარ ქართულო ცაო...“, „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია“... იყო მთრთოლვარე ოცნება, იმედისა და მთლიანობის განცდა, იყო შეგრძნება წინსვლისა და სანუკვართან მიახლოებისა, თაობათა სულის სიღრმეებში გროვდებოდა ვულკანური ძალები, ხოლო სიტყვის მახვილი კვლავ მედგრად სცემდა ფოლადის ჯავშანს, ულმობლად შოლტავდა სულიერ სიზარმაცეს, ღალატს, სიმდაბლეს, ბედოვლათობას:

ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა! —
გვეცლება ქართლი
თვალდახელშუა!

და იცოდა ერმა, ვინ იყო ხეჩუა, და ხეჩუამაც იცოდა, რომ ხეჩუა იყო, მაინც შეიცხადა — ვინ ხეჩუაო?! წიგნი გამოსცა მუხრან მაჭავარიანმა — „დუმილი რეკავს“, რუსთაველის პრემიაზე წარადგინეს ამ წიგნით, მაგრამ ეტყობა „ქვემოდან“ წარადგინეს, რადგან „ზემოდან“ არ მისცეს დასტური, „საბასა“ და „ვახტანგის“ ავტორს არ მიანიჭეს რუსთაველის პრემია. მერე მიზეზიც გაამჟღავნეს, სახალხოდ, ურცხვად, — ამ წიგნში თანამედროვეობის სულისკვეთება არ იგრძნობა, თანამედროვეობაზე ერთადერთი ლექსია შიგ და იმასაც „ვაი, ჩვენს პატრონს“ ჰქვიაო. ურიგო ხუმრობა არ იქნებოდა, ხუმრობად რომ ყოფილიყო ნათქვამი. მაგრამ არ ხუმრობდა ორატორი, ისევე, როგორც არ ხუმრობდა პოეტი:

ვხედავ:
რეგვენი ლაპარაკობს
ამაყად, მძიმედ,
და მე შენ გეტყვი
უპატრონოდ ხმას გასცემს
ვინმე.

გრძელდებოდა სიტყვის მახვილით კვეთება და დაჟინებით ისმოდა კითხვა: „მიდის თუ არა წინ საქართველო და თუ წინ მიდის, რა მხრით!“ ისრუტავდნენ ქართველთა ახალი და ახალი თაობები სტრიქონსა და სტრიქონს შორის მოქცეულ ტკივილს, იმედსა და ნუგეშს, ბრძოლის ჟინსა და გამარჯვების წყურვილს.

და როცა დარეკა საყოველთაო გამოფხიზლების ჟამმა, იმ სტრიქონებიდან ჯარად და ჯარად გამოვიდნენ სულანთებული და გრძნობაამაღლებული ნამდვილი მეხმლენი და მედროშენი, წელზე მახვილიც შემოირტყეს და თავისუფლების დროშაც აღმართეს, მაგრამ მახვილსაც, თავისუფლების დროშასაც, ანთებულ სულსა და სამშობლოს ამაღლებულ სიყვარულსაც საერთო ეროვნული სულიერების დარაჯი სჭირდება, დაცვა სჭირდება დღესაც, ხვალაც და მარადჟამს დასჭირდება. მომავლის ამ დიდსა და წმინდა ომებშიც ქართული სიტყვა უნდა იყოს უძლეველი იარაღი, ღვთისშვილივით განათებული და წინმავალი, რადგანაც მოდის „მერმისი ცოცხით ხელში, სუფთა და წმინდა“.

ამის დავიწყება არ შეიძლება თვით ყველაზე მძიმე ნგრევებისა და რევოლუციური რადიკალიზმის მძვინვარების ჟამსაც.

დავით მჭედლური

# მუშტი და სიცრუის ბუშტი

**ნაპოლეონ გადელია**

ომში ნამყოფი კაცი ვარ, რანაირად დასახიჩრებული კაცი არ შემხვედრია: ცალფეხა, ცალხელა, ცალთვალა, ცალყურა, ცალთირკმელაც, მაგრამ ცალულვაშა კაცი არც მენახა და არც გამეგონა დღემდე... ქვემოთ თქვენც დაგანახებთ...

„ლიტ. საქართველოს“ ა. წ. 1 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი გამოხმაურება („პასუხი ოცდაერთი ოდიშელისადმი“) გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებულ ოცდაერთი მწერლის მიმართვაზე ოდიშის მოსახლეობისადმი.

დარწმუნებული ვიყავი რა ჩემი წერილის აქტუალობაში, იმედი მქონდა მისი გამოქვეყნებისა. აქვე უნდა გამოვტყდე: რედაქციისათვის შეგნებულად არ მიცნობებია, რომ მე სუკ-ის ყოფილი თანამშრომელი ვარ, ვშიშობდი, იქნებ ამ გარემოებას ხელი შეეშალა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გამოხმაურება გამოქვეყნდა, ძალზე შეკვეცილი სახით, მაინც მსიამოვნებდა, რომ მან დიდი მოწონება დაიმსახურა მკითხველებში.

ოღონდ ესაა: მიმართვის ერთ-ერთმა ავტორმა და როგორც ეტყობა, მთავარმა მოთავემ, ბატონმა ზაურ კალანდიამ გაზეთ „საქართველოს“ №24-ში გამოაქვეყნა ჩემი პასუხის პასუხი მეტად მყვირალა და უტაქტო სათაურით — „გაშალეთ მუშტი ბატონო ნაპოლეონ!“

ზ. კალანდიას ეს პუბლიკაცია ისევ იმავე გულმოდგინებით ემსახურება უკეთურ მიზანს — მეტი გათიშულობა და უთანხმოება შეიტანოს ჩვენი რეგიონის ქართულ მოსახლეობაში, აქაც გამოიჩეკოს და წელში გაიმართოს ერის დამაბნეველი და ქანცგამწყვეტი ოპოზიცია.

ჩემი მართლაც უნებლიე შეცდომა, რომ მიმართვაზე ხელისმომწერი 21 ოდიშელი ყველა მწერლად მივიჩნიე, საქმის ვითარებას სრულებით ვერ ცვლის ჩემი ოპონენტის სასარგებლოდ! ნამდვილი პარადოქსი და ისტორიის ოხუნჯობა ის არის, რომ მე, სუკ-ის ყოფილი მუშაკი, დღეს თავგამოდებით ვიცავ ჩვენს ღირსეულ პრეზიდენტს, ხოლო თქვენ, მწერალი კაცი, ასეთ სისაძაგლეს წერთ: „თავისუფლებას ვინ ჩივის, როცა მას, ბატონ პრეზიდენტს სურს სამასი წლით უკან დაგვწიოს... ამერ-იმერი ერთმანეთს შეაჯახოს და ამით საბოლოოდ გულში მახვილი ჩაგვცეს“.

სამწუხაროდ, ეს თქვენი ბლეფი და ბოდვა მაშინ წაკითხული არ მქონდა, თორემ ჩემს გამოხმაურებას არც ვიკადრებდი, ყურაცხადად ჩაგთვლიდით და ამ დავიდარაბასაც ავცდებოდი.

ბატონი ზ. კალანდია, თავისებური „მოკრძალებული მზაკვრობით“, მიუთითებს იმ „საოცარ დამთხვევაზე“, რომ გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში აღმოჩნდა დაბეჭდილი ჩემი წერილი და ჩემი ყოფილი კოლეგისა და მეგობრის ილია ბარამიძის ძალზე საინტერესო სტატია „კაცი-იდეა“, მიძღვნილი ჩვენი პრეზიდენტისადმი, რომელიც ზოგიერთმა გაზეთმა გადაბეჭდა კიდეც.

მართლაც, ვინ ვინა და მწერალმა კაცმა ხომ უნდა იცოდეს წუთისოფლის უკუღმართობა, მით უმეტეს თუ როგორ აუბნია ცხოვრების გზა-კვალი მრავალ პატიოსანსა და ნიჭიერ ადამიანს კომუნისტური რეჟიმის მძვინვარებამ.

რა თქმა უნდა, ძნელი ასახსნელია, მაგრამ ასევე ადვილი მისახვედრიცაა, თუ როგორ ხვდებოდა ესა თუ ის დადებითი პიროვნება იმპერიის სპეც. სამსახურში. ამისთვის მრავალი ხერხი, მეთოდი და საშუალება არსებობდა საბჭოთა სახელმწიფოს არსენალში. თავის დაღწევა მშვიდობიანად ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ყველას ვერ მოვთხოვდით მერაბისა და ზვიადის ნებისყოფასა და თავგანწირვას.

ისიც ცნობილია, რომ უშიშროების ორგანოებში ხშირად უნიჭიერესი ადამიანებიც კი ხვდებოდნენ. მარტო ავადსახსენებელი ბერიას მაგალითი რად ღირს, რომელიც, როგორც ბოლო დროს გახდა ცნობილი, ყოველნაირად ცდილობდა თურმე, პირველ ხანებში, თავი დაეღწია ჩეკაში მუშაობისაგან.

თუ რედაქცია მომცემს საშუალებას, ვფიქრობ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ძალიან მოკლედ ავხსნა თუ როგორ აღმოვჩნდი სუკ-ის ორგანოებში კაცი, რომელიც „ვმწერლობდი“ (ზ. კალანდიას ირონიაა).

18 წლისა მოხალისედ წავედი ფრონტზე, სადაც უკვე იბრძოდნენ მამაჩემი, ჩემი უფროსი ძმა და სამი ბიძა. დავიჭერი, დავბრუნდი და დაუსწრებლად დავამთავრე თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი. ახლა ზ. კალანდია ოდიშ-სამურზაყანოს ისტორიას მასწავლის, ხოლო მაშინ კათედრის გამგემ ცნობილმა პროფესორმა გ. ნათაძემ მომცა რეკომენდაცია ჩემი სადიპლომო ნაშრომის უნივერსიტეტის შრომებში გამოსაქვეყნებლად! მისგანვე გავიგეთ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა დაუსწრებელი სტუდენტის ნაშრომის ასეთი შეფასებისა.

5 წელი ვიმუშავე სკოლის დირექტორად, 4 წელი გაგრის პარტ. რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, 20 წელი სუკ-ში.

1953 წელს სტალინი რომ გარდაიცვალა და ბერიაც ზედ მიაყოლეს, გაგრის რაიონულ პარტკონფერენციაზე აფხაზმა დელეგატებმა აცილება მომცეს იმ საბაბით, რომ თითქოს მე ვიყავი რაიონში აფხაზური ტოპონიმიკის ქართულით შეცვლის მოთავე და ავტორი. მანამდე კიდევ ერთი „დიდი ცოდვა“ მქონდა ჩადენილი: 1952 წელს მე და გაგრის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ტ. ბეჟვაიამ გამამხნევებელი წერილი გავუგზავნეთ ჩვენს საყვარელ მწერალს კ. გამსახურდიას, რომელსაც მაშინ თავს დაესხა (მგონი თბილისის მეეზოვეთა შეკრებაზე) ცკ-ის მდივანი ავანტურისტი ა. მგელაძე.

ორივე „დამნაშავე“ მე და ტ. ბეჟვაია ბეწვზე გადავრჩით. წარმოიდგინეთ, რა დრო იყო, მაშინ რა გაფაციცებით დაეძებდნენ და იჭერდნენ ე. წ. მეგრელ ნაციონალისტებს.

1955 წელს ზემოთნახსენები „მაკომპრომეტირებელი“ მასალების მოშველიებით მაიძულეს დავთანხმებულიყავი უშიშროების ხაზით მოსკოვის 2-წლიან სასწავლებელში წასვლაზე.

სასწავლებელი „ხუთებზე“ დავამთავრე, მაგრამ ჩემთვის საქართველოში სამუშაო დიდხანს ვერ მოიძებნა, სხვაგან მე არ წავედი. ინაურმა მითხრა, მეგრელები უკვე მოდაში არა ხართო! შემდეგშიაც არაერთხელ „უხუმრიათ“ ასე სხვა ხელმძღვანელებსაც.

ბოლოს 1957 წლის შემოდგომაზე გამომინახეს ადგილი აფხაზეთის სუკ-ში და პირველი სენსაცია ჩემთვის ის იყო, რომ გავეცანი კ. გამსახურდიაზე თბილისში არსებული ძირითადი საქმის ძალზე „მჭლე“ სოხუმურ დუბლიკატს, რომელსაც სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე ერთი ფურცელიც ვერ შემატებოდა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, თითქოს ელდა მეცა, როცა ტომის ერთ-ერთ ჯიბე-პაკეტში სხვა კონფისკაციაქმნილ წერილებთან ერთად აღმოვაჩინე ჩვენს მიერ 1952 წელს მწერალთან გაგზავნილი წერილიც!

1964 წელს იყო მგონი, ბატონ კონსტანტინეს რიგითი მასწავლებლები მიუსიეს, იმავ დროს სანდრო შანშიაშვილმაც დაიწყო ბეზღობა, „კოლხური კოშკი“ რანაირი მისამართიაო და ა. შ. მე კი, სუკ-ის ოფიცერმა, ძალზე ვრცელი, სიყვარულით აღსავსე წერილი გავუგზავნე საქართველოს ერთადერთი აუღებელი ციხე-სიმაგრის, კოლხური კოშკის ბინადარს. გამოდის, რომ მე ვღალატობდი იმ ორგანოს, რომელშიც ვმუშაობდი? ჩემი პასუხი ასეთია: მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ მეც მქონდა უფლება დამეცვა ჩემი საყვარელი მწერალი მრავალი უსამართლო თავდასხმებისაგან.

ამიტომ იყო, რომ რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა ჩემი ურთიერთობა სუკ-ის ხელმძღვანელობასთან. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ მოსკოვიდან ცკ-ს კომისიის მოლოდინში, ვინმეს ჩემი მხარდამჭერი რომ არ გაებედნა (ასეთები კი ბევრი იყო!), მოაწყვეს თურმე ჩემი „ფსიხუშკაში“ ვითომ მოთავსების იმიტაცია, მაგრამ „ბიჭები“ მიუხვდნენ ოინს და აღარ გამოუვიდათ...

კომისია ამჯერად ობიექტური გამოდგა: შემოწმების შედეგად ერთი გენერალი და ერთი პოლკოვნიკიც გაათავისუფლეს (პენსიაზე გაუშვეს). სახაცილო ის იყო თუ როგორ ქურდულად, მალულად მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ აპარატის გახარებული მუშაკები გამარჯვებულს. მაგრამ ეს გამარჯვება პიროსის გამარჯვება უფრო იყო იმდენი ხნის უდიდესი ნერვული დაძაბულობისა და ასევე განუზომელი მორალური ზარალის გამო.

ცნობილია, რომ იმ დაწესებულებაში თვითმკვლელობა იშვიათობა არ იყო! და თუ მე როგორღაც გადავურჩი ყველაზე კრიტიკულ მომენტებს, ეს ერთი ქართველი გენერლის წყალობით მოხდა, და რაც არ უნდა უხერხული იყოს მისი მოხსენიება ამ კონტექსტში, მაინც თავს მოვალედ ვთვლი დიდი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო იგი — ეს იყო ბატონი ნოდარ მაისურაძე, მისთვის ადვილი როდი იყო სალდაფონ ინაურის შეუზღუდველი ბატონობის დროს რომელიმე განწირულის გამოსარჩლება.

და სანამ ზ. კალანდია მომმართავდა მე „თქვენთვის ხომ მართლაც ნოსტალგიაა ის ძველი დრო-ჟამიო“, კარგი იქნებოდა ცოტა რამ გაეკითხ-გამოეკითხა ჩემს შესახებ, თუნდაც სოხუმში მოღვაწე თავისი პოეტი ძმებისთვის რომ ეკითხა, დარწმუნებული ვარ, ისინი სულ სხვა ინფორმაციას მისცემდნენ და იქნებ აგვცდენოდა ეს ხათაბალა.

ბატონო ზაურ, ჩემში ნოსტალგიას კი არა, ზიზღსა და უდიდეს სინანულის გრძნობას იწვევს ის „ძველი დრო-ჟამი“, როცა ბედის უკუღმართობით მომიხდა იმპერიის სპეც. სამსახურში მუშაობა. თუმცა თავს იმით მაინც ვინუგეშებ და რამდენადმე ვამაყობ კიდეც, რომ მე ჩემს გამოსვლებში პარტიულ კრებებზე, ანდროპოვისა და ბრეჟნევის სახელზე გაგზავნილ წერილებში ვიწინასწარმეტყველე კიდეც სუკ-ისა და სკკპ-ის გარდაუვალი გაკოტრება და მოახლოებული აღსასრული (სათანადო დოკუმენტები არქივებში ინახება და თუ განადგურდა, ცოცხალი მოწმეებიც მრავლად არიან ჯერჯერობით).

შეიძლება მეტისმეტად ძნელი შეკითხვაც დამისვან: შენ არ დაწერე 600-გვერდიანი რომანი „პოსეიდონის საიდუმლოება“, ჩეკისტურ თემაზეო, ამას მაინც ვინ გაძალებდაო! დიახ, სწორია. მე დავწერე, არავის დაუვალებია, პირიქით, ხელსაც მიშლიდნენ — წიგნების წერაში ფლანგავ ძვირფას დროსო, შემომბღავლა ერთხელ ინაურმა, რომელიც ერთ წინადადებასაც ვერ წერდა უშეცდომოდ! დიახ, დავწერე იმიტომ, რომ მეჩვენებინა ქართველი კაცის ნიჭი და მისი წვლილი დაზვერვა-კონტრდაზვერვის სფეროში. მე, ქართველმა კაცმა კი არა, ყაზახმა დეპუტატმა აგერ გუშინ არ იყო, რომ სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს სესიაზე ძალზე მოხერხებულად, შეფარვით აღნიშნა ერთი ქართველის როლი ატომური საიდუმლოების მოპოვებისა და ატომური ბომბის შექმნის საქმეში?

როცა მე „მუშტშეკუმშულსა და შიშისზარდამცემს“ მომიგონებს ბატონი ზაური, არ ვიცი, რით დავარწმუნო, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ ასეთი და ისიც მინდა განვაცხადო, რომ სუკ-ის თანამშრომელთა შორისაც გამიცვნია არაერთი გულმოწყალე და ნამდვილად კაცური კაცი, რომელთა მსგავსი სხვა სფეროში იშვიათად შემხვედრია. ალბათ, ზოგისთვის დაუჯერებელი იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართველ ჩეკისტთა ერთი ნაწილი დიდი სიმპატიით იყო განწყობილი „კოლხური კოშკის“ ბინადართა მიმართ. ხშირად ჰყვებოდნენ ერთ კურიოზულ შემთხვევაზე, თუ როგორ გამოუტანა ბატონმა კონსტანტინემ სკამები მის მოთვალთვალე „ბიჭებს“ და უთხრა: „დღეს არსად არ გავდივარ, თქვენ წადით ან ჩამოჯექით და დაისვენეთო!“

ნათქვამია, ლაშქრობიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლი უყვებოდა საბრძოლო ამბებსო, აი, ისე მოგდით თქვენ, ბატონო ზაურ, თორემ ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, თუ ვინ იყო ორგანოებში შიშისზარდამცემი და გულმოწყალეც.

მინდა იცოდეთ, რომ მე გამოვედი თავის დროზე პროპაგანდისტთა რესპუბლიკურ შეკრებაზე და დავიცავი „თვალი პატიოსანი“, როცა ყველა აკრიტიკებდა. ამის გამო წერილიც მივწერე ავტორს. მადლობით მიპასუხეს გ. ფანჯიკიძემ და ჯ. ჩარკვიანმა (მათი ბარათები ჩემთან ინახება). ასევე გავუგზავნე წერილები შ. ნიშნიანიძეს, კ. ბუაჩიძეს და სხვებს. კ. ბუაჩიძემ ჩემი წინადადებით გაუწია დახმარება უშხვანისა და გოგიას ოჯახებს.

გეთანხმებით, მოსაწონია თქვენი მოწოდება ოდიშელებისადმი — „სანამ თქვენი თვალით არ დაინახავთ, რომელ მხარესაა ჭეშმარიტება, პოზიციას ნუ გამოკვეთავთო!“

მაგრამ რა ვქნათ, როცა ვერანაირი ჭეშმარიტება ვერ დავლანდეთ ოპოზიციის მხარეს, გარდა იმ ჭეშმარიტებისა, რომ არივდარიეს და აწეწეს ისედაც დაქანცული, ქანცგაწყვეტილი საქართველო?

დიახაც, რომ „ჩვენი თვალით“ დავინახეთ უამრავი ბოროტება ოპოზიციის მიერ, ან მის მომხრეთა მიერ ჩადენილი. მათ შორის ერთზე აქვე მოგახსენებთ. ვფიქრობთ, ეს ერთიც საკმარისია თქვენი მოწონებული ჭეშმარიტების დასადგენად: ენით აუწერელი სისაძაგლე ჩაიდინეს ოპოზიციის მომხრე ნაძირალებმა თბილისში: აფხაზეთიდან ჩასულ ერთ-ერთ გულმხურვალე ქართველ პატრიოტს ვ. ლ-ს ჯერ მაგრად სცემეს, მერე ცალი ულვაში შეაჭრეს და ისე გამოუშვეს ცალულვაშა...

სადიზმისა და ცინიზმის უფრო შემაზრზენი ფაქტი ქართველისაგან ქართველის მიმართ ჩადენილი თქვენ თუ გაგიგონიათ? და რისთვის, რა დანაშაულისათვის. ამ და სხვა მსგავსი ფაქტების მცოდნე მწერალს ენა როგორ მოუბრუნდება ოპოზიციის სასარგებლოდ?

რაც შეეხება ულვაშ-ქოლვაშიან ვაჟკაცებს, ისინი ოპოზიციის მხარესაც ბევრი დავინახეთ, მაგრამ აბა გაბედე და, ხელით კი არა, სიტყვით შეეხე, მათ შორის თუნდაც ყველაზე მეჩხერულვაშიანს, უმალვე მთელ ქვეყნიერებას შესძრავენ, გამსახურდიას მომხრეებმა ადამიანის ღირსება ფეხქვეშ გათელესო!

სხვა ჭეშმარიტებაც დავინახეთ „ჩვენივე თვალით“, მაგრამ ცალულვაშა კაცის დანახვამ ყველაფერს გადააჭარბა, აღგვაშფოთა, ძალზე დაგვბოღმა და კინაღამ დაგვიკარგა ერის გადარჩენის იმედი. ამას კიდევ ზედ დაემატა მართლაც ორლობის მწერალთა ჭკუის მასწავლებელი მიმართვა-დარიგება. თითქოს ჩვენ ქართველები ბოლომდე ჩამოყალიბებული ერი არ ვიყოთ, ცალ-ცალკე, ქართველურ ტომებად ვრჩებოდეთ დღემდე, თითქოს ასე უკეთესი იყოს: „მეგრელმა მწერლებმა“ მეგრელებს მიმართონ, გურულებმა — გურულებს, კახელებმა — კახელებს და ა. შ. ვაი, ჩვენი ბრალი!

ბატონო ზაურ, შეცდომა ვის არ მოსვლია, თქვენც შეცდით. თქვენს გარდა კიდევ 20 ოდიშელი შეგიცდენიათ, როცა ხელს აწერინებდით ფრიად საეჭვო ტექსტზე, მაგრამ საქმეს კიდევ ეშველება თუ ჩუმად მოინანიებთ და გულში მაინც აღიარებთ შეცდომას. ეს მეტი ვაჟკაცობა იქნებოდა, ვიდრე რედაქციებში წანწალი და ახალ-ახალი პასუხების ცხობა. (ერთი ასეთი პასკვილის დაბეჭდვა კიდევ მოგისწრიათ გაზეთ „საქართველოში“).

განა არ ვიცი, არაფრით არ გამოტყდებით თუ სინდისმა არ შეგაწუხათ. რა კარგი იქნებოდა, რომ ადამიანებს სინდისის საზომი „სინდომეტრი“ გამოეგონებინათ, ისევე როგორც ტემპერატურის საზომი — თერმომეტრი. ამოუდებდი იღლიაში გაჭიუტებულ კაცს და დაანახვებდი თუ როგორ ჩამოცურდა ვერცხლისწყალი ნულს ქვემოთ!

ოდიშელებისადმი მიმართვის ფრიად განსწავლულო ავტორებო, თქვენ ჯვარი გწერიათ. მაგრამ მე ვიტყოდი ჩემთვის, რომ არა აქვს დიდი ფასი და მნიშვნელობა „ფაუსტის“ და „ულისეს“ წაკითხვასა და კარგად გაგებასაც კი, თუ ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს დაგვიწყებიათ ერთი ჩვენებური მშვენიერი ქართული იგავი, ჭიუტ თხებზე რომ არის ნათქვამი.

დასასრულს მინდა შეგახსენოთ, ბატონო ზაურ, რომ მე ჩემს წერილში არცერთ თქვენთაგანს პერსონალურად არ შევხებივარ, გვარიც არ მიხსენებია, ხოლო თქვენ ყოვლად უსაფუძვლოდ, ფაქტების დაუმოწმებლად გამომლანძღეთ, სათაურშივე მირჩიეთ, გაშალეთ მუშტიო!

ა, ბატონო, გავშალე, მუშტი და გასკდა თქვენ მიერ გაბერილი სიცრუის ბუშტიც!

ქ. სოხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაოა თქვენი მცდელობა

## ღია წერილი ბატონ ნოდარ ნათაძეს

ბატონო ნოდარ! თქვენი გახშირებული პუბლიკაციები რესპუბლიკურ პრესაში, უზენაესი საბჭოს დეპუტატის კვალობაზე, ალბათ, „აქტიური პოზიციის გამოვლენად" მიგაჩნიათ. ამაში საძრახისი არაფერია, პუბლიკაციების ტონი და მიზანდასახულობა შეურაცხმყოფელი რომ არ იყოს. თქვენ, რატომღაც, პარლამენტარის სიდინჯითა და გონიერებით კი არა, ყოველთვის განაწყენებული კაცის პოზიციიდან მსჯელობთ, ძირითად მიზნად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დისკრედიტაციას ისახავთ. ამისათვის არცერთ შემთხვევას არ უშვებთ ხელიდან, რაც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ.

ამ ტენდენციას ამჟღავნებთ უზენაესი საბჭოს სესიების სხდომებზე გამართული დებატების დროსაც.

თქვენი „გააქტიურება" საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც ქართველმა ერმა არ აგირჩიათ პრეზიდენტად. სამაგიეროდ, თქვენ აირჩიეთ განაწყენებული კაცის პოზიცია. რადგან პარლამენტი და პრეზიდენტი ხალხის არჩეულია, თქვენ, ცნობილი მეცნიერი, უპირისპირდებით ხალხს და მისგან იმსახურებთ არა სიყვარულს, არამედ უპატივცემულობას...

გაზეთ „თბილისის" 29 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა თქვენი წერილი „პასუხად ჩემს ოპონენტებს", რომელშიც რედაქტორისაგან მოითხოვთ: „თქვენი პროფესიული ვალია შეამოწმოთ ჩემს სახელზე შემოსული წერილების (ალბათ გინდოდათ გეთქვათ, ჩემს შესახებ შემოსული — ო. გ.) ფაქტობრივი მხარე, სანამ მათ დასტამბავდეთ".

ამ პრინციპით რომ ეხელმძღვანელა რედაქტორს, თქვენს „პასუხს" კარგა ხანს არ ეღირსებოდა დღის სინათლე, რამეთუ მასში უამრავი ცილისწამება და თქვენთვის შეუფერებელი სიტყვებია მიმოფრქვეული.

ბატონ ამირან ბეროძის მისამართით ბრძანებთ: „სახალხო ფრონტს არაფერი ჰქონია ოდესმე საერთო ი. წერეთლის ან ვ. მთავრიშვილის პარტიებთან". ნუთუ მართლა? სახალხო ფრონტს, თუ მთლიანობაში გულისხმობთ რეგიონალური ორგანიზაციებით, ვერ ექნებოდა საერთო ე. წ. ქუჩის ოპოზიციასთან, რადგან ამ ფრონტის უმრავლესობამ მრგვალი მაგიდის ბლოკსა და ბატონ ზვიად გამსახურდიას მისცა არჩევნებში ხმა. ისინი ახლაც პრეზიდენტისა და პარლამენტის დამცველებად დგანან. მაგრამ პირადად თქვენ და თქვენი მომხრე ზოგი „ფრონტელი" ნამდვილად ერთ პოზიციაზე დგახართ როგორც ქუჩის, ისე საპარლამენტო ოპოზიციასთან და ერთი მიზანი გამოძრავებთ: შექმნათ რესპუბლიკაში დესტაბილიზაცია, ხელი გაუტეხოთ პრეზიდენტს, რითაც გინდათ გაამართლოთ თქვენი აბსურდული მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ. ეს რომ ჭეშმარიტებაა, ადასტურებს თქვენი „პასუხად ოპონენტებს". თქვენი მოწოდება, „დღეს ბევრი პოლიტიკური ჯგუფი თვლის, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგეს", ავანტიურისტულია და ხალხისაგან აღიქმება, როგორც მტრული დამოკიდებულება მის მიერ არჩეული ხელისუფლებისადმი. „ბევრ პოლიტიკურ ჯგუფში", ცხადია, გულისხმობთ იმ დესტრუქციულ ძალებს, რომლებთანაც პოლიტიკურ ალიანსში ბრძანდებით თქვენდა სამარცხვინოდ.

როდესაც თქვენ გკადრებენ, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი რა მორალური უფლებით მოითხოვთ პრეზიდენტის პოსტის გაუქმებასო, პასუხი უხსური გაქვთ: თითქოს ადრე გაგიცხადებიათ, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა მყავდეს", მაგრამ ყური არავის უთხოვია.

საკითხავია, პირადად ვინ შეგიშალათ ხელი, ასეთი მოტივით პრეზიდენტობის თქვენი კანდიდატურა მოგეხსნათ? ისეთი ხელჩართული ბრძოლა რომ გამართეთ პრეზიდენტის სავარძლისათვის, რა ძალა გედგათ? ასეთ სასტიკ დამარცხებას მაინც აღარ იწვნევდით და უფრო დაფასდებოდით.

თუ პრეზიდენტის პოსტი მარტო თქვენთვის გინდოდათ? თურმე მაშინ არ გაგახსენებიათ და ახლა, როცა ერს ჰყავს რჩეული პრეზიდენტი, მოგაგონდათ, რომ „საქართველოს პრეზიდენტი, კანონით, უცხო ქვეყნის მოქალაქედ რჩებოდა და წითელი პასპორტი ედო ჯიბეში!"

ესეც ახალი აღმოჩენაა? განა ეროვნული ხელისუფლება, პრეზიდენტის მმართველობა იმისათვის არ იყო და არის საჭირო, რომ კოლონიურ უღელს, უცხო მოქალაქეობას თავი დავაღწიოთ და სრული დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ? თქვენს ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ რა უფლება გაქვთ თქვენ, „უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი რომ გიდევთ ჯიბეში", საქართველოს ეროვნული პარლამენტის წევრი იყოთ? თუ ეს, როგორც ბრძანებთ, „სიჩქარის გამო (?!)" ადრე არ გაგახსენებიათ, ახლა ხომ იცით? რატომ არ აიყრით დეპუტატის უფლებამოსილებას? მოტივი ხომ ისეთი გაქვთ, წყალი არ გაუვა!

მაგრამ თქვენ პრეზიდენტს უკიჟინებთ, გადადექითო (მანამდე არაფერი გეტკინოთ!), თორემ საკუთარ პატივდებას როგორ შეელევით? პირადი ამბიციები რომ არ გამოძრავებდეთ, თქვენ, როდესაც პრეზიდენტის არჩევნებში თქვენდა სამარცხვინოდ, ხმების მინიმალური რაოდენობა მიიღეთ, სახალხო ფრონტის თავმჯდომარეობიდან უნდა გადამდგარიყავით! არც ეს გაგახსენდათ? მაშინ სახალხო ფრონტი თავისი რეგიონალური ორგანიზაციებით ხომ ყველაზე ხალხმრავალი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო რესპუბლიკაში? თქვენ ახლაც, არასოდეს აღიარებდით ის ფაქტი, რომ სახალხო ფრონტის უმრავლესობამ საქართველოში ბატონი ზვიადი აირჩია პრეზიდენტად; თქვენ კი უნდობლობა გამოგიცხადათ. ამის შემდეგ გქონდათ კი მორალური უფლება სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ, ანუ უჯარო გენერლად დარჩენილიყავით? წესით თქვენ პოსტიდან უნდა გადამდგარიყავით.

თქვენ კი პირიქით, მარცხს „შეტევითი ოპერაციებით" უპასუხეთ და სამიზნედ ხალხის რჩეული პრეზიდენტი გაიხადეთ! მაგრამ ისიც ხომ იცით, რომ ბატონი პრეზიდენტი თავისი გამორჩეულობის გამო ერთეულებს გძულთ, თორემ ერს უყვარს? უყვარს არა მარტო ასაკოვან ამომრჩევლებს, არამედ მოზარდ თაობასაც, რომელმაც მომავალი საქართველო უნდა აშენოს. ეს არ გახლავთ „ფანატიკური" სიყვარული, როგორც თქვენ ბრძანებთ. ეს სიყვარული ქართველთა (და არა მარტო ქართველთა) გულშია ფესვგადგმული და ვერავითარი ცილისწამება ვერ ამოშანთავს. ამიტომ ამაოა თქვენი მცდელობა! რაც უფრო აძაგებთ პრეზიდენტს, მით უფრო გაღვივდება მისდამი ნდობა და სიყვარული, რადგან ბატონ ზვიადს პირადული კი არა, ერის ინტერესი აღვაწებს და ასულდგმულებს; მის პერსონაში პრეზიდენტი კი არ უყვარს ხალხს, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ ბატონი ზვიადი უყვართ პრეზიდენტის როლში. მისდამი სიყვარული კი წლების მიღმიდან მომდინარეობს მისი მოწამეობრივი ბრძოლის, თავდადების გამო. ხალხმა იცის მისი უდიდესი როლი საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და ეროვნული ძალების გამარჯვების საქმეში. ამიტომაა, რომ სამშობლო ქვეყანა და ბატონი ზვიადი ერთსულ და ერთხორც წარმოუდგენიათ, მათი სიყვარული ერს გაიგივებული აქვს. ამბობენ კიდეც: ზვიადი საქართველოაო. ჭეშმარიტად ასეა დღეს! თქვენ არ მოგწონთ, რომ ასე არის, მაგრამ ხალხი არჩევანს თვითონ აკეთებს და რადგან ის მიაჩნია ქვეყნის თავისუფლების გზაზე მესაჭედ, თანაუდგება და მიჰყვება კიდეც...

თქვენ კი, ზურგსუკან ჩასაფრებულებმა, რამდენიც არ უნდა უკიჟინოთ, გადადექიო, არაფერი გამოგივათ! თავად რომ მოისურვოს, ხალხი არ მისცემს ამის უფლებას. რაც უფრო მალე მიხვდებით ამას თქვენ და თქვენი თანამოაზრენი, ანუ, ბატონი ზვიადის მოძულენი, მით უკეთესი იქნება მართლაც ტანჯული და დაღლილი ჩვენი ერისათვის! თუ სამშობლოს ბედი ჭეშმარიტად გტკივათ, ბატონი ზვიადის გადადგომას კი არა, მის თანადგომას უნდა მიელტვოდეთ, რომ მშვიდობა და თავისუფლება გვქონდეს.

თქვენ, თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ სამხედრო ნაწილს „ეროვნულ გვარდიად" მოიხსენიებთ, თუმცა კარგად უწყით, რომ შეიარაღებული ფორმირება, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებს არ ექვემდებარება, კანონგარეშეა და არ შეიძლება ეწოდოს მას არც „გვარდია" და მით უფრო — „ეროვნული". ეს სამხედრო დაჯგუფება ხელისუფლების მოწინააღმდეგე უმცირესობის სამსახურშია. ასეთ მდგომარეობაშია სახალხო ფრონტის ფორმირება „იმედიც", რომელსაც ძირითადად თქვენ ხელმძღვანელობთ და არავინ უწყის, რა სახსრებით აფინანსებთ. თქვენს ამ ქმედებას ოფიციალურ წრეებში კრიმინალურს უწოდებენ და სამართლიანად. ეს ფაქტი გარდასული დროების კურიოზს მოგვაგონებს, როდესაც პოლიტიკურად დაუძლურებულ საქართველოში ყველა ფეოდალს თავისი ჯარი ჰყავდა და ერთმანეთს ერკინებოდნენ. პარადოქსი ხომ არ არის ის, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შეიარაღებული ჯგუფები ჰყავთ საქართველოში და მათი სახელით სხვები ბანდიტობენ? ნუთუ თქვენ არ გაღელვებთ ეს მდგომარეობა? იქნებ „იმედის" იმედით ფიქრობთ თქვენს პერსონას წონა შემატოთ? თუ იმისათვის იღწვით, რომ „ძალის პოზიციიდან" წარმართოთ „ოპოზიციური ბრძოლა?"

„ოპოზიციური გვარდიის" რიგებში, როგორც ბრძანებთ, არიან რჩეული ქართველი ახალგაზრდები! ოღონდაც, ბატონო ნოდარ! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე არ იყოს! დარწმუნებული ვარ, „იმედის" რიგებშიც არიან ასეთები, მაგრამ ისინი ხომ შეცდომილნი არიან თქვენს მიერ? იმ რჩეულ ახალგაზრდებს, ჩანს გათვითცნობიერებული არა აქვთ, რომ თქვენის წყალობით გასტეხეს პრეზიდენტისადმი მიცემული ფიცი, მიემხრნენ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილეებს. ვერ გაითვალისწინეს, ალბათ, რომ პრეზიდენტის ღალატი ერის ღალატია, რამეთუ იგი ხალხის რჩეულია, მისი მესაჭე და სიმბოლური გამოხატულებაა.

ვფიქრობთ, იმ ახალგაზრდებს არც ის აქვთ გათვითცნობიერებული, რომ საქართველოს პრეზიდენტი დიდი ჰუმანისტიცაა და გულმოწყალება გამოიჩინა: უკვე შეუნდო და აპატია მათ დანაშაული სპეციალური ბრძანებულებით. იმის პირობა კი, ჩაებარებინათ იარაღი, ან შეერთებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებისადმი დაქვემდებარებულ საჯარისო ნაწილებს, დღემდე არ სრულდება. ესეც თქვენი და თქვენი თანამოაზრეების „დამსახურება" გახლავთ, თორემ „ქართველი რჩეული ახალგაზრდები" ამდენხანს გააკეთებდნენ არჩევანს.

თქვენ დანაშაულად უთვლით ხელისუფლებას, რომ ჯერაც ვერ შექმნა საქართველოს არმია. საამისოდ მუშაობა ხომ დაწყებულია? ეს არ გაკმაყოფილებთ? არც პრეზიდენტია კმაყოფილი ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობით, ალბათ, მაგრამ თავს ზევით ძალა რომ არ არის? არმიას ხომ თავისი კადრები, ბაზები, შეიარაღება, დიდძალი ხარჯები სჭირდება?

თქვენ ჭორად მიიჩნევთ იმ განცხადებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ოპოზიციის არსებობა უშლის ხელს. ეს ხომ რეალობაა, ბატონო ნოდარ? მხოლოდ იმ გაგებით, რომ ზოგადად ოპოზიცია კი არაა ხელისშემშლელი, არამედ ცრუ ოპოზიციის მიერ ხელოვნურად შექმნილი დესტაბილიზაცია, იმ დესტრუქციული ძალების მცდელობა, ვისაც არ სურს საქართველოს დამოუკიდებლობა ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობით.

ბატონ ამირან ბეროძის შეკითხვას, „არ მომხდარა თავდასხმა მთავრობის სახლზე?" თქვენ ახირებულად პასუხობთ: „ამას უნდა ჰკითხოთ, ვინც იქ იყო, იმ სახლში და მის გარეთ..." კი, მაგრამ, თუ არ გხილავთ და არცა გსმენიათ, რა მოხდა მთავრობის სახლთან 5 ოქტომბრის დილას, საიდან აკეთებთ ხელისუფლების საწინააღმდეგო დასკვნებს? ვინც იხილა, ხომ იცის, რომ მთავრობის სახლთან მომიტინგეებს მომხვდურნი დაესხნენ თავს? თქვენ კი ბრძანებთ: „მე პირიქით, ეს მტკიცება, უკეთეს შემთხვევაში, ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი მგონია... რეპრესიების გამართლების მიზნით".

მომიტევეთ, მაგრამ თქვენი „ნაზრევი" ჰგავს „ავადმყოფი ფანტაზიის" ნაყოფს, რადგან მისგან ასეთი შინაარსი გამოსჭვივის: მთავრობის სახლთან მომიტინგეებზე თავდასხმა კი არავის უცდია, არამედ თვით ხელისუფლებამ მოუხმო ქვებითა და რკინებით, ბოთლის ნატეხებითა და ავტომატებით შეიარაღებულ „ოპოზიციონერებს": მოხროვდით, გვლანძღეთ, გვაგინეთ, ქვები და ტყვია დაგვიშინეთ, დაგვხოცეთ დაგვასახიჩრეთ, რომ შემდეგ თქვენს მიმართ რეპრესიები განვახორციელოთო!

თქვენს ახირებული პოზიციით ეჭვის ქვეშ აყენებთ 2 სექტემბრის ინციდენტსა და „თელასზე" თავდასხმის ფაქტს. დასძენთ: „საქართველოში დესტაბილიზაციის არსებობა ხელსაყრელია ხელისუფლებისათვის..." კი, მაგრამ, სად გაგონილა, რომ ხელისუფლება თავის თავს უწევდეს დისკრედიტაციას, ხელოვნურად ქმნიდეს დესტაბილიზაციას ხალხის უკმაყოფილების გამოსაწვევად? თუ პირიქით, ეს თქვენი ნაზრევი არის ცდა, თქვენგან შექმნილი დესტაბილიზაცია ხელისუფლებას გადააბრალოთ? ის, რაც ახლა რესპუბლიკაში ხდება, თქვენი და თქვენი თანამოაზრეების, ცრუ დემოკრატების ნამოქმედარია „ხალხის გამწარების" პროგრამით რომ მიმდინარეობს და ამის გამო ყველა დამნაშავემ უნდა აგოს პასუხი.

**ომარ გოჩელაშვილი**

# ღია წერილი ბატონ გურამ დოჩანაშვილს

ბატონო გურამ!

მე ერთი უბრალო ქართველი ქალი ვარ „ქალი, რომელსაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა" და ამ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, თქვენი პროზა. ამიტომ, ჩემი წერილი არც ყალბი პათოსით და არც ცრუ პატრიოტიზმით გაჟღენთილი პასკვილი არ იქნება.

ყოველთვის მაინტერესებდა თქვენი პოზიცია დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ა. წ. 29 ნოემბრის „ლიტერატურულ საქართველოში" მ. ჭაჭავარიანის წერილში „ქართველთ просьба და რუსთ გულისხმიერება", თქვენი გვარიც ამოვიკითხე. გულწრფელად მაინტერესებს ქართველ მწერალთა ჯგუფს პენ-კლუბში შესახვლელად „შაჰისა და ხონთქრის" კარზე გაქცევა რისთვის დაგჭირდათ?

ნუთუ თქვენ, ბატონო გურამ, ერთი ადამიანის სიძულვილმა მიგიყვანათ ამ ნაბიჯამდე? თუ არა, მაშ რამ? იქნებ დღევანდელი „რეპრესიები" და „ავტორიტარული რეჟიმი" საკუთარ შემოქმედებაზე ან პირად ცხოვრებაში გამოსცადეთ? თუ ეს ასეა, იქნებ სჯობდა ისევ ქართველთათვის შეგეჩივლათ და არა მტერთათვის. მაშ, რა მოგივიდათ? დარწმუნებული ვარ, თქვენში ამბიციის ნატამალი არ არის. როგორ მოხვდით იმ ჯგუფში, სადაც თქვენ, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რამდენიმე თვალსაჩინო პიროვნების გარდა, სიმპათიას არავინ იმსახურებს. ან თამაზ კვაჭანტირაძის გაუთავებელი მწერლად მოხსენიება, რას ნიშნავს? იქნებ თქვენ მაინც მითხრათ, რა დაწერა? მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ.

ბატონო გურამ! ქართველებს გვჭირდება ჩვენი მენდეს მასიელი. ქართველთა უმრავლესობას ალბათ ასეთად ზვიად გამსახურდია მიაჩნია, მითუმეტეს, რომ იგი არც უდაბნოდან გამოსულა და არც კრიალოსნით ხელში მჯდარა ბაზრობათა ქალაქში. მისი ცხოვრების გზა ყველა ქართველმა კარგად იცის. ვაცალოთ, იქნებ შეძლოს. ნუთუ გინდათ, პრუდენსიოს ფუნქცია იკისროთ? რუსთა ქვეყანაში სირბილისა და პეტიციების წარდგენას, ხომ არ აჯობებდა, ალექსანდროსავით ვიკითხოთ ლექსები „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის"?!

ბატონო გურამ! მე არ მინდა იმ ზე მორეირას ადგილას გიხილოთ, სასიკვდილოდ განწირულ მეგობარს მხარი რომ აუკრა.

სამწუხაროა, რომ თქვენ დიდი კანუდოსელი არ აღმოჩნდით.

მოდით, ნურც ზვიად გამსახურდიას, ნურც სხვა ვინმეს ნუ ვათქმევინებთ ერთ დროს ჩემთვის ცოტა გაუგებარ, ახლა კი სრულიად გასაგებ ფრაზას: „ღმერთმა ნუ ქნას, გავიმარჯვოთ!"

ღმერთმა ქნას, თქვენს გულში დროებით დამჭკნარი სიყვარულის ყვავილი ხელახლა გაიშალოს.

პატივისცემით

**მაია ნადირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ნიშანი თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგია, რომელსაც ავითარებდა იგი, — და ნერგავდა კიდეც პრაქტიკული მოღვაწეობით მთელი სიცოცხლის მანძილზე. აღნიშნული დებულების ნათელსაყოფად საჭიროა თანამიმდევრულად განვიხილოთ დიმიტრი ყიფიანის დამოკიდებულება XIX საუკუნის საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებთან.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ წინამდებარე წერილში ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით დიმიტრი ყიფიანის პუბლიკაციებს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ პუბლიკაციებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას განაპირობებდა პოლიტიკური კონიუნქტურა და მისგან გამომდინარე იგავური მეტყველების, ჭეშმარიტი ზრახვების მიჩქმალვის, ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკისადმი მოჩვენებითი ერთგულების გამოხატვის აუცილებლობა. მაგრამ, დიმიტრი ყიფიანის მიერ საჯაროდ გამოთქმული შეხედულებების გულწრფელობაში სრულად გვარწმუნებს მისი კერძო მიმოწერა, რომლის თავმოყრა და სათანადო მეცნიერული აპარატით გამოცემაც მომავლის საქმეა.

დიმიტრი ყიფიანს მიაჩნდა, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან, — ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, — პოზიტიური მოვლენა იყო. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს იგი უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნევდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ხოლო ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილ მანიფესტს განიხილავდა არა როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამომწვევ დოკუმენტს, არამედ გიორგი XII-ის სურვილის დაკმაყოფილებას და საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებას რუსეთთან. დიმიტრი ყიფიანი სრულებით არ უწევდა ანგარიშს იმ გარემოებას, რომ გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები" ხელმოუწერელი დარჩა და, ამდენად, იგი ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლებოდა. როცა დიმიტრი ყიფიანი აცხადებდა, საქართველო „რუსეთის მონარქის ქვეშევრდომობაში საკუთარი სურვილით, შეგნებულად შევიდაო"... აქ, არსებითად, სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატი უნდა ვიგულისხმოთ და არა 1801 წლის ძალმომრეობითი პოლიტიკური აქტი. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ეს შეცდომა „უნებური იყო დიმიტრის მხრივ, წარსულის ისტორიის შეუსწავლელობის გამო". საკითხის შეუსწავლელობამ, ცხადია, დიდი გავლენა იქონია ქართველთა არაერთი თაობის მიმართებაზე ცარიზმის პოლიტიკასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე. დიმიტრი ყიფიანისთვის უმთავრესი ის იყო, რომ XVIII საუკუნის დასასრულს შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება, ქართული სახელმწიფოს ფიზიკური დაუძლურება და ტერიტორიული დაქსაქსულობა, აშკარად გამოკვეთილი პარტიკულარისტული ტენდენციები პერსპექტივაში შეუძლებელს ხდიდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმის არსებობას. ამდენად, რუსეთის სახელმწიფოში გაერთიანება აუცილებელი ეტაპი იყო საქართველოს ფიზიკური გადარჩენისთვის, ტერიტორიული გაერთიანებისთვის, ქრისტიანულ-მართლმადიდებელი აღმსარებლობის შენარჩუნებისთვის, ევროპულ სამყაროსთან კონტაქტების აღდგენისთვის და, შესაბამისად, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური, კულტურული იზოლაციის გარღვევისა და საერთო-საკაცობრიო ცხოვრებაში ჩართვისთვის. ამასთანავე, დიმიტრი ყიფიანი კარგად ხედავდა საქართველოში რუსული მმართველობის უკიდურესად ნეგატიურ შედეგებსაც — ქართული სახელმწიფოებრიობის სრულ განადგურებას, ქართული ენის ფუნქციების შეზღუდვას, განათლების ტრადიციული სისტემის მოშლას, ქართველთა მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან რუსული კანონმდებლობის შეუთავსებლობას, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების დაქვეითებას და ა. შ. ყოველივე ეს იყო მიზეზი მისი აქტიური მონაწილეობისა 1832 წლის შეთქმულებაში, რაც, თავის მხრივ, მაჩვენებელია იმისა, რომ დიმიტრი ყიფიანი თავდაპირველად მხარს უჭერდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეიარაღებული აჯანყების გზით. მაგრამ, შეთქმულების დამარცხებამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ამგვარი რადიკალური საშუალებებით მსოფლიოში უდიდესი და უსასტიკესი იმპერიისგან თავის გამოხსნა შეუძლებელი იყო.



# დიმიტრი ყიფიანი და განმათავისუფლებელი მოძრაობა

თამაზ ჯოლოგუა

გადასახლებიდან დაბრუნებულ დიმიტრი ყიფიანს უკვე იმოყალიბებული აქვს ის მსოფლმხედველობრივი პოსტულატები, რომელზეც აგებულია მისი სამოღვაწეო პროგრამა: ღვთის რწმენა — სამშობლოსთვის თავდადება — იმპერატორისადმი ერთგულება. უნდა ითქვას, რომ, არსებითად, ეს იყო ქართველთათვის ტრადიციული დევიზის, — ღმერთი, ხელმწიფე, მამული, — გაგრძელება. მაგრამ, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობასთან ერთად ეს დევიზიც წარსულს ჩაბარდა. შეუძლებელი გახდა შეთავსება ორი შეუთავსებელი რამისა — იმპერატორის ერთგულებისა, ერთი მხრივ, და სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა, მეორე მხრივ. ძირითადად ამ გარემოებით იყო გამოწვეული ის ტრაგიკული გაორება, რომელიც დიმიტრის თაობისა და უახლოეს წინამორბედ ქართველ მოაზროვნეთა და მოღვაწეთა დიდი უმრავლესობისთვის იყო დამახასიათებელი (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვ.). დიმიტრი ყიფიანი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და გამონაკლისი ამ მხრივ არც იგი ყოფილა. მაგრამ, ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით. ამჯერად კი ზოგადად მოვხაზავთ დიმიტრი ყიფიანის სამოღვაწეო პროგრამის ძირითად არსსა და მიმართულებას.

XVIII საუკუნის დასასრულს, ქართულ საგარეო პოლიტიკას, როგორც ცნობილია, ძირითადად განსაზღვრავდა იდეა — საქართველოს გადარჩენისა რუსეთთან კავშირში. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე დიდი მიმდევარი ამ იდეისა იყო სოლომონ ლიონიძე — ეს „უკანასკნელი დიდი ქართველი დიპლომატი ძველი საქართველოსი... (რომელსაც) იმედი ჰქონდა, რომ საქართველო შეძლებდა დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, რომ **„რუსეთთან კავშირში საქართველო საქართველოდვე დარჩებოდა"** (ნ. ბერძენიშვილი). მაგრამ, მოვლენების განვითარებამ დაადასტურა ამგვარი პოლიტიკური შეხედულების უნიადაგობა, რადგანაც **„სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეორისა, სოლომონ პირველისა და 1783 წლის ტრაქტატის ენით ლაპარაკობდა, ხოლო ალექსანდრე ხელმწიფე და მისი მოხელენი კი 1801 წლის აქტისა და მისი შემდგომი მოვლენების ენით"** (ნ. ბერძენიშვილი). „შემდგომ მოვლენებში" კი უნდა ვიგულისხმოთ ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურება, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა არაერთი წარუმატებელი აჯანყება. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი ქართველთა ილუზიას — შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოს განთავისუფლებას. ამავე შეთქმულებამ შეიწირა უდიდესი ქართველი განმანათლებელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი, რომელიც, შეიძლება ითქვას, განგებისგან იყო მოვლენილი ახალი თაობის მეთაურად, დაცემული ეროვნული ცნობიერების აღმდგენლად და ამაღორძინებლად. ამასთანავე, იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი, მისი ინტელექტუალური ელიტა მიმოფანტულ იქნა რუსეთის შორეულ გუბერნიებში. აუცილებელი გახდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი კონცეფციის შემუშავება, რომლის ხორცშესხმაც იხსნიდა ქართველ ხალხს ეროვნული გადაგვარებისგან. დიმიტრი ყიფიანის ნააზრევისა და ნამოღვაწარის წარუხოცელი მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში სწორედ ასეთი კონცეფციის ჩამოყალიბება და განხორციელებაა.

ეროვნული ხსნის დიმიტრი ყიფიანისეული კონცეფციის ამოსავალი დებულება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანდათანობითი, ეტაპობრივი განვითარება. საჭირო იყო არა რადიკალური საშუალებებით უპერსპექტივო ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ, არამედ, — **უკეთეს დროთა მოლოდინში,** — არსებულ პოლიტიკურ სისტემაშივე ასიმილატორული პროცესების შეკავება და ქართველი ხალხის ეთნიკური სახის შენარჩუნება. პარალელურად კი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამით ქართველთა ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-აღორძინება. განათლებაა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი" — ესაა ის უნივერსალური ფორმულა, რომელიც დიმიტრი ყიფიანმა დაუდო საფუძვლად თავის სამოქმედო პროგრამას.

უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის საპროგრამო დებულებები არ აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე. გავიხსენოთ, როგორ მოძღვრავდა „ჭეშმარიტი ძე მამულისა" გენერალი ივანე აბხაზი 1831 წელს გრიგოლ ორბელიანს: „თქვენ, ახალგაზრდანო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოვლის ღონისძიებით მამულისათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახავთ და გამართავთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ აღარა მეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოობა შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყობილება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს და ან ვინ გაუგონებს. — აწინდელი ჩვენი საზოგადოობა არს მკვდარ მამულისათვის... ჩვენი მზე არს დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულისა შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოისანი; მაშინ იქმნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღვრისა. გარეშემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ — არს, რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა... კვალად ვამბობ, რომელ დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქართველო".

თუ ივანე აბხაზის პოზიცია ჯერ მხოლოდ თვალსაზრისი იყო, დიმიტრი ყიფიანმა იგი კონცეფციად ჩამოაყალიბა და 40-იანი წლებიდან ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზრი ამ მიმართულებით განვითარდა.

ამრიგად, თუ სოლომონ ლიონიძე და მისი პოლიტიკური გეზის მიმდევრები (მათ შორის სოლომონ დოდაშვილიც, რომლისთვისაც შეთქმულების გამარჯვება არ ნიშნავდა რუსეთთან პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას) ხსნას **რუსეთთან კავშირში** ეძებდნენ, დიმიტრი ყიფიანისთვის ხსნა გარკვეულ პერიოდამდე ქართველთა ეთნიკური სახის შენარჩუნება და განვითარება იყო **რუსეთის შემადგენლობაში.**

საერთოდ, განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების აღმავალ ხაზს უნდა მიყვებოდეს. ამდენად, თეორიულ ასპექტში დიმიტრი ყიფიანის კრედო არ შეიძლება წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ მას საფუძვლად უდევს **პოლიტიკური რეალობების** გათვალისწინება და მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა ამ გზის სისწორე.

დიმიტრი ყიფიანის გეგმებში შედიოდა მმართველობის სისტემაში აქტიური მონაწილეობა, სახელმწიფო სამსახურში დაწინაურება და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ეროვნული ინტერესებისთვის. აკაკი წერეთლის სამართლიანი შენიშვნით, დიმიტრის „დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის".

განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება დიმიტრი ყიფიანის პროგრამის ხორცშესხმისთვის შეიქმნა 40-50-იანა წლებში —საქართველოში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობის პერიოდში. დიმიტრი ძლიერ დაუახლოვდა ვორონცოვს და ეს დაახლოება შესანიშნავად გამოიყენა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. კავკასიის მეფისნაცვლისა და დიმიტრი ყიფიანის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები **გარეგნულად** ერთმანეთს დაემთხვა. კერძოდ, ორივე დიდად იყო მოწადინებული ქართველ ხალხში განათლების შეტანით და მისი კულტურული დაწინაურებით. მხოლოდ მათ მიზნები ჰქონდათ რადიკალურად განსხვავებული — თუ ცბიერ და შორსმჭვრეტელ ვორონცოვს რუსულ და ევროპულ კულტურასთან ზიარებით ქართველთა რუსიფიკაციის დასრულება ჰქონდა განზრახული, დიმიტრი ყიფიანს სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინებით სურდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-აღორძინება და ამ გზით განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება და ფეხზე დაყენება. ეს იყო ნამდვილი ომი და იგი დიმიტრი ყიფიანმა მოიგო— აღნიშნულ პერიოდში. იგი, თანამებრძოლებთან ერთად, ზრუნავდა ეროვნული ჟურნალისტიკის აღორძინებაზე, პროფესიული ქართული თეატრის დაარსებაზე, განათლების სისტემის მოწესრიგებაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე, მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, იცავდა ქართული ენის ინტერესებს და ა. შ. ერთი სიტყვით, დიმიტრი ყიფიანმა 40-50-იან წლებში, — როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, იდეურად და პრაქტიკული საქმიანობით, — გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით წარმართვაში. მან შეძლო გარს შემოეკრიბა გაფანტული ინტელექტუალური ძალები და აღედგინა 1832 წელს გაწყვეტილი პროცესი ეროვნული მოძრაობისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანი ღირსეული მემკვიდრე იყო სოლომონ დოდაშვილისა და ასევე ღირსეული წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილიას საგანმანათლებლო პოლიტიკას საერთოდ, და კერძოდ, არაერთ კარდინალურ დებულებას, არსებითად, დიმიტრი ყიფიანის შეხედულებები უდევს საფუძვლად.

„თერგდალეულთა" გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე ეროვნული მოძრაობის ეტაპობრივი განვითარების დიმიტრი ყიფიანისეული პროგრამის უდავო გამარჯვება იყო. მართალია, მას ახალი თაობის წარმომადგენლებთან ჰქონდა უაღრესად პრინციპული კამათი ენის, მოგვიანებით კი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზეც, მაგრამ ეს კამათი არ გადაზრდილა მძაფრ მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში. პირიქით, დიმიტრი მაშინვე „ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულით და გულით მათთან იყო" (ა. წერეთელი).

სოციალურ საკითხში დიმიტრი ყიფიანი „ლიბერალური იდეებით გამოდიოდა ქართველი ხალხის წინაშე" (გ. თოდუა), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი „სოციალური ფილოსოფია არასოდეს არ გასცილებია წოდებრივ ფარგლებს" (ს. ხუნდაძე). წოდებათა ურთიერთობა დიმიტრის ასე ჰქონდა წარმოდგენილი: გლეხობამ უნდა შექმნას მატერიალური დოვლათი, თავადაზნაურობამ კი უნდა მართოს ქვეყანა, ამასთანავე განსაზღვროს ერის კულტურულ-ინტელექტუალური სახე. ურთიერთობა მათ შორის რეგლამენტირებული უნდა იყოს კანონის უმკაცრესი დაცვით. კანონში კი, თავის მხრივ, უნდა აისახოს წოდებათა ურთიერთდამოკიდებულების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და სამართლებრივი ნორმები, რომელთა მიხედვითაც ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის აგებული იყო ერთმანეთის უფლება-მოვალეობათა პატივისცემაზე: „ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა ან ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსნი. იმათაც ისე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებელნი და მტარვალები, ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფაცხოვრების გამგებელნი... ერთმანეთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვანთხევდით სისხლსა... ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვაკუთხედი, რომელზედაც ემყარებოდა სიმტკიცე სარწმუნოებისა და შეუმუსვრელობა ჩვენი მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვივნენ და ჰმძვინვარებდნენ საუკუნოებათ მიმდინარეობასა შინა". დიმიტრი ყიფიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ქადაგებდა ბატონსა და ყმას შორის ჰუმანურ პრინციპებზე დამყარებული ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობას, თვითონაც უაღრესად ლოიალურად ექცეოდა საკუთარ ყმებს და, საერთოდ, კეთილი ურთიერთობა ჰქონდა გლეხობასთან.

რაც შეეხება 1864 წლის საგლეხო რეფორმას, რომლის განხორციელებასაც თვითონ დიმიტრი ყიფიანი ხელმძღვანელობდა, იგი მოითხოვდა გლეხობის გადაყვანას ხიზნების მდგომარეობაში ხო-

ზნობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნიშნების, — გადასახადების უცვლელობისა და მფლობელობის მუდმივობის, — უმკაცრესი დაცვით. ეს, დიმიტრის აზრით, იურიდიულად გაათავისუფლებდა გლეხს, მიანიჭებდა მას პიროვნულ თავისუფლებას, მაგრამ, ამასთანავე, მიწაზეც დაამაგრებდა. ამით კი ალიკვეთებოდა უმიწოდ დარჩენილ გლეხთა მიგრაციები. აქედან გამომდინარე ქაოსური პროცესებითა და, რაც მთავარია, მოისპობოდა საქართველოში პროლეტარიატის გაჩენის საშიშროება. პროლეტარიატი კი, დიმიტრის აზრით, იყო „პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა; სადაც ის აღმოჩნდება, მაშინვე საჭირო არის მის განკურნებაზე ზრუნვა, რომ არ განვითარდეს მთელი ორგანიზმის საზიანოდ".

ჯერ კიდევ 40-50-იან წლებში დიმიტრი ყიფიანი ამკვიდრებდა უაღრესად პროგრესულ შეხედულებებს საქართველოში სახალხო მეურნეობის ახლებურ ორგანიზაციაზე. იგი განუხრელად ქადაგებდა, — და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას პრაქტიკულადაც ნერგავდა, — სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციის, შესაფერისი ტექნიკური ბაზის შექმნის, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბება-განვითარების და ამ საქმეში თვითონ საქართველოს მოსახლეობის, — კერძოდ, თავადაზნაურობის, — მიერ პირადი ეკონომიკური ინიციატივის გამოჩენის აუცილებლობას. ამავე პერიოდში ჩამოაყალიბა დიმიტრი ყიფიანმა უაღრესად პროგრესული შეხედულება საქართველოში ფეოდალური სისტემიდან გადმოყოლილი მიწის გაუყოფლობის პრინციპის გარდაქმნის შესახებ. კერძოდ, მისი აზრით, უნდა გაუქმებულიყო ფეოდალური გვარის საერთო ანუ კოლექტიური საკუთრება და იგი დაშლილიყო გვარის ცალკეულ წარმომადგენელთა კერძო ანუ ინდივიდუალურ საკუთრებად მტკიცედ დადგენილი საზღვრებითა და სარგებლობის წესით. საერთოდ, დიმიტრი „ებრძოდა ძველ ფეოდალურ სისტემას, ცდილობდა კაპიტალისტური მეწარმეობა დაემყნა ბატონყმური ეკონომიკის საფუძველზე" (გ. თოდუა). ხოლო საფუძველთა საფუძველი ქვეყნის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მისი ეკონომიკური აღორძინებისა, უნდა გამხდარიყო კერძო საკუთრების დახვეწილი ფორმების დანერგვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი „რაციონალური სოფლის მეურნეობის განვითარება, მემამულეთა ეკონომიკური თვალთახედვის გაფართოება, მეურნეობრივი საქმიანობისადმი მათი ინტერესის ზრდა" (გ. თოდუა).

დიმიტრი ყიფიანი ორთოდოქსი მონარქისტი იყო. იგი, საერთოდ, „პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ძველი ფეოდალური სისტემისა და მომხრე ერთმეფობის ცენტრალური მმართველობისა" (ს. ხუნდაძე). ერთმეფობა იყო დიმიტრისთვის ქართველი ხალხის, როგორც ეროვნული ორგანიზმის, გადარჩენის ერთადერთი საშუალება. საქმე ისაა, რომ ქართველობას მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი ეროვნული ცნობიერების აღდგენა-განმტკიცება იხსნიდა, ამისთვის კი უპირველესი პირობა იყო პარტიკულარისტული ტენდენციების სრული აღმოფხვრა და საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება. ღვთივკურთხეულმა უკანასკნელმა ქართველმა მეფემ, დიმიტრის აზრით, ნებაყოფლობით გადასცა ეს ფუნქცია რუსეთის სამეფო დინასტიას, შესაბამისად ქართველი საზოგადოებრიობა ვალდებულია მტკიცედ აღასრულოს საქართველოს მეფის ანდერძი და ქვეშევრდომული გრძნობებით იყოს გამსჭვალული რუსეთის უზენაესი განმგებლისადმი. ამასთანავე დიმიტრი ყიფიანი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი-მართლმადიდებელი იყო. ამ საკითხზე სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, აქ მხოლოდ ერთ ციტატას დავიმოწმებ მისი კერძო წერილიდან გიორგი ალექსანდრეს ძე შარვაშიძისადმი: „მე ძველი კაცი ვარ და ღვთის სასოება ისე არის ჩემს გულში დამკვიდრებული, რომ მისი შერყევა ვერც ერთმა ახალმა იდეამ ვერ შეძლო". სწორედ „ღვთის სასოება" იყო განმაპირობებელი იმ გარემოებისა, რომ დიმიტრი ყიფიანის მონარქისტულ იდეებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქართველთათვის ტრადიციულად დამახასიათებელი მონარქიზმის თეოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მეფე იყო ხატი ღვთისა და მისი წარმომადგენელი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიმიტრი ყიფიანისთვის სამეფო ტახტი დოგმა იყო და არა ცნება. და აქ ჩვენ მივადექით ერთ ყველაზე რთულ საკითხს, კერძოდ, სამშობლოსა და ტახტის ურთიერთმიმართებას დიმიტრი ყიფიანის აზროვნებაში. ისტორიულად ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ისე განვითარდა, რომ XIX საუკუნეში რუსეთის მონარქისადმი ერთგულება თავისთავად ნიშნავდა ერთგულებას რუსული ნაციონალიზმისადმი. ეს უკანასკნელი კი საფუძვლებით გამორიცხავდა ქართული ნაციონალური ორგანიზმის განვითარებაზე ზრუნვას. დიმიტრი ყიფიანი აღმოჩნდა დილემის წინაშე — სამშობლო ან ტახტი.

დიმიტრი ყიფიანის კრედო კი იმთავითვე გამორიცხავდა ყოველგვარ კომპრომისს — მისთვის ადამიანის უპირველესი დანიშნულება სამშობლო ქვეყნის სამსახური იყო. ამისთვის იბრძოდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე, ამასვე შესწირა მთლიანად ფიზიკური ენერგია და ინტელექტუალური შესაძლებლობები და ბოლოს — სიცოცხლეც. ჩვენს წინაშე ფრიად პარადოქსული მოვლენაა — დიმიტრი ყიფიანი აყალიბებს შეხედულებას, რომ იმ უკუღმართობებში, რომელიც საქართველოში ხდება და მიმართულია ქართველი ხალხის ეროვნული თავისდათავადობის წინააღმდეგ, დამნაშავეა არა მონარქი, არამედ მისი გარემოცვა, საქართველოში კი — ადგილობრივი ბიუროკრატია. იგი თავის მახვილს შეუბრალებლად მიმართავს სწორედ ადგილობრივი, არსებითად, რუსული ბიუროკრატიის წინააღმდეგ და ამით თავგანწირვით იცავს როგორც საკუთარ სამშობლოს, ისე, სხვათა შორის, მონარქის ღირსებასაც, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია ისევე იზრუნოს ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე, როგორც რუსი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს. ეს იყო უკიდურესად მძაფრი და ტრაგიკული მსოფლმხედველობრივი ჩიხი და დიმიტრი ყიფიანი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლა ვერ შეძლო.

უკანასკნელ ხანს, ჩვენს მეცნიერებაში ინერგება აზრი, თითქოს დიმიტრი ყიფიანის მონარქისტობა მოჩვენებითი ან იძულებითი იყო. დაწვრილებით მსჯელობს ამ საკითხზე ბ-ნი იოსებ უთურაშვილი. რომლის აზრითაც, დიმიტრის ერთგულება ტახტისადმი „ეტყობა ტაქტიკური მანევრი უფრო იყო, ვიდრე რწმენა".* აღსანიშნავია, რომ პატივცემულ ავტორს მსჯელობა მთლიანად ვარაუდების სფეროში გადააქვს. იგი საფუძვლიანად იცნობს დიმიტრი ყიფიანის პუბლიკაციებს, კერძო მიმოწერას და, საერთოდ, ყოველგვარ მასალას დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის გარშემო. მიუხედავად ამისა ბ-ნი იოსები ვერ ასახელებს ერთ ფაქტსაც კი, რომელშიც ვლინდებოდეს დიმიტრი ყიფიანის ნეგატიური დამოკიდებულება რომელიმე რუსი მონარქისადმი. უფრო მეტიც, არ არის ცნობილი მისი ერთი გადაკრული სიტყვაც კი, სადაც ჩანდეს თუნდაც დაეჭვება მონარქის, როგორც ამქვეყნიური უმაღლესი სიკეთისა და სამართლიანობის განსახიერებაზე.

დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობის კორექტირება და ამა თუ იმ მომენტის ჩვენთვის სასურველი კუთხით წარმოჩენა გაუმართლებლად მიმაჩნია. ვფიქრობ, დიმიტრი ყიფიანის აზროვნების შესწავლისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება: „როდესაც ზედმიწევნით გავეცნობით დიმიტრის აზროვნების ხასიათს, მის სოციალ-პოლიტიკურ სიმპათიებს და ლტოლვილებას, დავრწმუნდებით, რომ ამ ადამიანის დასაფასებლად არ გამოდგება ჩვეულებრივი საზომი, რომლითაც [illegible] ინტელიგენტ-მოღვაწე ფიზიონომიას... თავი და თავი შემძენი დიმიტრის აღმოჩენაა... და თუ ეს მოვახერხეთ, ჩვენ არაფრის უნდა გვეშინოდეს, რადგან ყოველი ნაკლი და აზრის შეცდომა დაიფარება იმ დიადის სულის სანახაობით, რომელიც გადაიშლება ჩვენ თვალ-წინ".

მართალია, დიმიტრი ყიფიანის მონარქისტობა არასასურველი ფაქტი იყო დაპყრობილ საქართველოში, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ნეგატიური შედეგები ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ დიმიტრის ბრძოლა რუსული მმართველობისა და ადგილობრივი ბიუროკრატიის წინააღმდეგ, **ობიექტურად, იყო ბრძოლა რუსეთის მონარქის პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში.** შედეგები ამ ბრძოლისა საყოველთაოდაა ჩვენში ცნობილი. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, მისი წარმმართველები 60-იანი წლებიდან მონარქიზმისგან შორს მდგარი ახალი თაობის წარმომადგენლები იყვნენ და დიმიტრის მონარქისტულ იდეებს არც აქ დაუტოვებია რამდენადმე შესამჩნევი კვალი.

დიმიტრი ყიფიანის სამოღვაწეო პროგრამის ხორცშესხმას დიდად შეუწყო ხელი მისმა პიროვნულმა თვისებებმა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შეურყეველი ნებისყოფა და დაუცხრომელი ქინი **მოქმედებისა**. ამ გარემოებამ ათქმევინა, სხვათა შორის, თავის დროზე ლეო ქიაჩელს: „ახალი საქართველოს იდეების და რწმენის სათავე, ჭეშმარიტად, დიმიტრი ყიფიანია, ვინაიდან ახალი საქართველო უნდა ჰშვას არა თეორიებმა, არამედ ნებისყოფამ და ხასიათმა".

ასე წარმოგვიდგენია **ზოგადად** დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობისა და ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან მიმართების ძირითადი საკითხები. რასაკვირველია, გამოსარკვევი თუ გამოსაკვლევი კიდევ ბევრი რამაა, მაგრამ საგაზეთო წერილის მოცულობა გვაიძულებს ზემომოყვანილი მსჯელობითა შემოვიფარგლოთ და ამჯერად აქ დავსვათ წერტილი.

***—საერთოდ ბ-ნ იოსებ უთურაშვილის შესანიშნავი მონოგრაფიული ნაშრომი, — „დიმიტრი ყიფიანი" (თბ., 1989), — ჩანს, ავტორის მრავალწლოვანი დაუცხრომელი შრომისა და ძიების ნაყოფია და იგი უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ჩვენი უდიდესი მამულიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლაში.**

---

# •პირველი სტრიქონები•

## ზაზა სიგუა

### კალეიდოსკოპი

არ მიმატოვო... — იქ, ბინდ-ბუნდში მკრთალად გაისმა...
ქარი... ცრემლნასვამ ქაოსებად დუმდნენ ქუჩები...
ჰა, ელეგიით გადათალხა ზეცა დაისმა
და ცახცახებენ გახელილი, ცივი ტუჩები.

უმიზნოებით მოწყენილა შარა თელილი,
სულს მწყურვალება სიკვდილეთმა მსტოვრად მისწერა...
ბარათი იყო, ვით ზმანება სახეშეშლილი,
რა სისხლამღვრეულ გეენითაც ქშენს ბედისწერა.

ო, დავიწყებას კვლავ გაენდო რაღაც ჩვეული...
ბროლის ძუძუებს გააშიშვლებს ბნელში მონიკა...
ძრწის პესიმიზმი, მძულვარებად გადმონთხეული,
და შავ თაღებით შენს მკვლელობას გლოვობს ქრონიკა.

მხურვალ სხეულზე ორგიული გაწვა ჭენება...
მარადისობა ფანტომების ღვარში მავალი...
მხოლოდ განწირვით იქუფრება არგათენება,
და სუსხში მიმქრალ საუკუნედ სწუხს ორთქლმავალი.

არი ობლობა... ლტოლვა ახლა სულ სხვა ცადმყოფი,
და თუმც ექსტაზი ერესისგან, მაინც არ რჩება,
მაქვს წინათგრძნობა უახლოეს დრამის ცხადმყოფი,
მე დაგშორდებით, ლექსები კი თქვენში დარჩება.

### სპლინი

მალე ბნელ ხსოვნად შემორჩება რაც გვიწერია,
მე დღეს არც ვნანობ, რომ ვიღაცამ გამცვალა სხვაში...
ჩვენ დიდხანს ყოფნა განგებისგან არ გვიწერია,
რჩეულიშვილიც ხომ შეშლილივით დაიხრჩო ზღვაში.

დრომ გაორებას კვლავ გაანდო რაღაც ფარული...
რა ტკივილებად მაგონდება უმწეო მამა...
და უცაბედად უცნობობით ასე ფარული,
გვიახლოვდება ანათემურ ოცნების დრამა.

უმიზნოებამ ყოველგვარი ზრახვა მოლია,
გალებულია თვალებდათხრილ ზმანების კარი,
იქ მხოლოდ გამმურ მჭმუნვარებით მთვრალი მოლია
და ფერმიხდილი მკვნესარება — უსახო ქარი.

## ნინო ხომერიკი

### ფოთოლი

ჩანახატი

შემოდგომის წყნარი საღამო იდგა. სიჩუმე გამეფებულიყო. ხეებს ლამაზი სამოსი სანახევროდ გაეხადათ...

„როგორ არ მინდა შენთან განშორება, ჩემო ტირიფო. მაცალოს ცოტა ხანს სიცოცხლე ამ ონავარმა სიომ", — გაიფიქრა ფოთოლმა და სევდიანი მზერა შეავლო დაბლა ჩამოცვენილ, გაყვითლებულ ფოთლებს.

— არ მინდა შემოდგომა, — ამოიოხრა ფოთოლმა და თვალი მოჭუტა, — შემოდგომას განშორება მოსდევს, ტირიფო, შენთან განშორება, მე კი შენ, როგორც ჩემს საკუთარ დედას, ისე გიყურებ და ახლა წარმოიდგინე, რა ძნელია, როდესაც შვილს ლვიძლ დედას მოსწყვეტენ და მისგან შორს გასტყორცნიან. ტირიფო, გევედრები, არ გამიშვა, არ გაატანო ჩემი თავი ქარს.

ტირიფმა დაღლილი თვალები გაახილა. ნაღვლიანად მიმოიხედა და სინანულით თქვა:

— ჩემო პაწია, რომ იცოდე, როგორ მიმძიმს თითოეულ თქვენთაგანთან განშორება, თქვენ, ყველანი ხომ ჩემი ლვიძლი შვილები ხართ, ჩემს ლეროებზე გამოზრდილი. თითოეულ თქვენთაგანში ჩემი სუნთქვაა, სიცოცხლეა ჩემი ჩაქსოვილი. მხოლოდ სიზმრებით და ლამაზი სიყვარულით ვარსებობთ. — ღრმად ამოიოხრა და თითქოს რაღაც სასიამოვნო გაახსენდაო, ისე მილულა თვალი.

— სი-ყვა-რუ-ლი, — დამარცვლით გაიმეორა ფოთოლმა, — რა არის სიყვარული? რა არის „ლამაზი სიყვარული?" მე, ხომ არაგინ მყვარებია... მე ვერც კი მოვასწარი გამეგო, რა არის სიყვარული! ჩემთვის არავის უსწავლებია, რა არის სიყვარული... ტირიფო, ალბათ, ბედნიერია ის, ვისაც განუცდია სიყვარული, არა? — იკითხა ფოთოლმა და ცნობისმოყვარე თვალები შეანათა ხეს.

— სიყვარული... აბა, როგორ აგიხსნა... როდესაც გიყვარს, ძალიან ბედნიერი ხარ და ქვეყნად მხოლოდ ერთს ნატრობ: რა იქნება, ღმერთო, მასთან მამყოფაო. მეც მიყვარდა ჩემი ფოთლები, ყოველ მათგანს გულში ვიხუტებდი, ვათბობდი. ახლა შენს გარდა აღარავინ შემრჩა. ო, როგორ მინდოდა სულ ერთად ვყოფილიყავით, გეშრიალათ ჩემ მკერდზე, გაგვეთბო, გაგვემხნევებინა ერთმანეთი. ასე ბედნიერი მამყოფე-მეთქი, ღმერთს ვევედრებოდი. სხვა სიმდიდრე მე არ მინატრია, ჩემო ფოთოლო, ჩემი ბედნიერება თქვენ იყავით... ახლა შენც თავსაც მომაცილებენ და დავრჩები გაძარცული, მიტოვებული.

— არ იტირო, ტირიფო, თორემ მეც ავტირდები.

⊙

— გიყვარვარ?

გოგონა შეკრთა. არ ელოდა ამ კითხვას. ბიჭს შემკრთალი თვალებით შეხედა და ჩურჩულით უპასუხა:

— ჰო...

დიდხანს იხსდნენ გარინდებულები. ასე იქნებოდნენ, ნიავს რომ არ დაებერა და არ გამოეფხიზლებინა.

— აცივდა, წამო, წავიდეთ.

— წავიდეთ, — თქვა ბიჭმა.

პალტოს საყელოები აიწიეს და გაუყვნენ პარკის ყვითლად შეფერილ ბილიკს...

⊙

— ეჰ, სიყვარულო, — ჩაიბუტბუტა ფოთოლმა... სიომ ისიც ჰაერში აიტაცა და გასტყორცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაალ ებანოიძე

## ახალი ლექსები



### გაღვიძება

ვისაც გრილი სევდით ვენახებით,
არც მთლად მოყვარული მოყვასია,
გავხდით იმის ხელით განავერანები,
ერთ დროს რო ბოცომკალი მოგვასია.

უნდა გაღვიძებამ ცოდვილისამ
გვიხსნას ძილისაგან ცოდვათასა,
გვეყო, რაც პირისახე მოინისლა
ბედმა და სიბნელეში მოგვათავსა.

მზერამ აისხლიტა ულვიძარი
ძილის შენიღბული მობრძანება
და დღეს, მდუმარებით შენამწუხრი
ზარის
კვალად განრისხების მოგვცა ნება.

●

აჩალული ქარები რომ ავზვინე,
ზამთრის მოლოდინმაც გამიმართლა—
ზედ კართან აღიმართა და
სახლში შემოშვების ადამიანური
უფლება ითხოვა...
ვზივართ ახლა ტაბლასთან და
ერთმანეთს მასლაათით ვიყოლიებთ.
ხანდახან ხელს მხარზე გადავხვევ და
ვმღერივარ:

თეთრი არაყით დამთვრალო,
ძმად შეფიცულო ზამთარო,
რო წახვალ, გული დამწყდება —
ცრემლის საღვრელად მზად ვარო.

●

დღეს თუ ხვალ ორი გუდურო
შეშა რო უნდა გახდეს —
ტანბერი, ფოტრო, ფუტურო
მდინარის პირას დგას ხე.
თვალს თავად ჩამოამძიმებს
წუთისოფელის წესი —
ბუდედ ჰყოფნიდათ არწივებს,
დღეს რო დავტირი ლექსით.

●

უკვარო, უაბედო
ღამეა კუნაპეტი და წვიმს...
წვიმის ღობეს მივყვები და
ჭიშკარს ხელით დავეძებ;
მტრისას, ახლა რომ დავეცე,
ზიცარიელეს გემოს ვინ გაუსინჯავს!

### დიმი

ჯანსულ ღვინჯილიას

ხვების იალკიალი
სურათს იძლევა რა სრულს,
შენი და ჩემი ზიარი
დიმის, ძვირფასო ჯანსულ!

შემოდგომაა ახლა,
მღერა ცისა და მიწის,
თუმცა ლახვარის დაკვრა
ნეტარებამაც იცის.

ლახვარდაკრული ვუმზერ,
როგორ გაალღო დილის
შუქმა, მოლების გულზე
გადათრთვილული ჩრდილი.

უფრო იმღვრევა ფერი
ცა იფაკლება რა რო,
ძირს, იფრანიის ღელის
სიმზე ნიავი გალურზს ...

სერზე გოდოლი — წარბი
და ისტორიის თვლემა;
საბაჯგიიდან არბის
ცეცხლმოდებული რემა,

თუ ნეკერჩხალებს ცისკენ
აუშვერიათ ფრთები;
შაშვის გოდებას ვისმენ
და ქრუანტელით ვთბები.

ნაგუთნებიდან მოაქვს
ქარს სურნელება ამო,
მართლა ისეთი დროა
უნდა შეჩერდე წამო.

როცა ფოთლების თუთუნს
ყელი ამოწვავს ბუხრის,
იარხეინებს ნუთუ
ჩვენი ქალების მწუხრიც?!

საკვამურებით მომთბარს,
ვინაც დახედავს მაღლით, —
მწამს, წამწამებზე მომდგარ
კურცხლით ლამაზად დაღლის.

●

ამ თვალისმომჭრელ ციმციმს,
გულზე რომ რჩება კვალი,
ვერ გავაკვირვებ, ვიცი,
ჩემი სესხით და ვალით.

მიდის, მშორდება ეს დღეც
ამტვერებული გზებით;
რომ არაფრობას შევწვდე
ყველაფრობაში ვდნები.

მე ვიცვლები თუ თავად
საგნებს უცვლიათ ფერი,
ვერ ამიხსნია სხვა ვარ,
თუ ჩემს სატირალს ვმღერი.

გადაყივლებამ დართა
ცა შეამძივა თქორით
და ვარ გაღებულ კართან
ორთა არაფერს შორის.

ლაწვზე მაშრება ცრემლი —
ეს ფერშეცვლილი სისხლი
და ყვავილობას ტყემლის
თეთრ მარლასავით ვიხსნი.

უკვე მძიმდება ტვირთიც,
წლებს ებევრებათ ვერცხლი
და ღამეების ქვიტკირს
შუბლის ხეთქებით ვებრძვი.

ამ სატანჯველის ფასად,
რას მაზიარებს ზენა.
გზა გასაქცევი — არსად,
მხოლოდ თავსშიგნით ფრენა.

ფრთების სავსავით დაღლილს
მიჩანს ცა-მყარი ფუყე;
გულზე დაბმული ძაღლის
ბოლმით, ვარსკვლავებს ვუყეფ.

### სიზმარ-ზღაპარი

ნანა ბელქანიას

სევდის ფესვზე ამონაზარდ
უუძველეს სიმღერიდან
დარდმა კარი გამორაზა
თუ მიეთვლიმ-მიერინდა.

სხვა ნირვანას აბარია
მოსაგლოვარ-მოსალხენი,
მართლა სიზმარ-ზღაპარია,
ბელქანია როცა მღერის.

დიდოი ნანა! ქრუოლა ტანის
ქარია თუ მასქურია,
ფშანებიდან მონატანი
უკვდავების დასტურია.

ტბას ყარყატი ეხამება,
თუ მბჟუტავი სანთელია,
მოჩუმარი — შეღამება,
მოხმაურე გამთენია.

ხმა შარბათად ეფინება
და გარემო ბადაგდება,
სასიამოდ მეტკინება
ყელის ნაზად გადაგდება.

იორთქლება თვალი ღვაფით
თუ ცას ენათესავება,
ემაგ სევდა არის თაფლის
სამსალასთან შეზავება.

ვსვამ... თანდათან მეტანება,
შორს ქალების ღალანია,
ვყევარ სიზმარ-ნეტარებას
მონად ხელში, რახანია.

ტკბილი გოლუაფიროთი
უფრო მემშვენ-მესრულება
ზეცა, დღეს რომ მადლი მოდის
და მე თქორად მესხურება
დიდოი ნანა! — ქარი ზღვიდან
შემოივლის შუკა-შარებს
და სულ ციმციმ აგიზიდავს,
ხელი ოდნავ თუ გაშალე.

სხვა ნირვანას აბარია
მოსაგლოვარ-მოსალხენი,
მართლა სიზმარ-ზღაპარია,
ბელქანია როცა მღერის.

●

თანდათანობით ებევრება სიგრილე ნიავს
და ფეხაკრეფით მოიწევს ბინდი;
და მზეს — ჩამავალს, ყველაზე გვიან
თმობს ასაფრენი ფრინველივით შემდგარი შინდი,
„ფრინველნი მფრინველნი ქვეყანასაზედა“,
„...ცხოველნი წყლისა და ცხოველნი ხმელისა“...
დობილო მოიხდენს ლივლივა ქედანს,
ქალებს რომ ყანჩების ფარფატი შენისლავს.
წყალგალმა — სახნავი და სათესია,
გამოღმა — ბალახს ძოვს კამეჩი,
თვალები — დღეში აქვს და ნათელში აქვს,
ტანი აქვს — სულ მუდამ ღამეში.
ქედზე ნაუღლარი დატყობია, —
ბედის ამ განაჩენს მეც ველი;
რამდენის ამტანი და დამთმობია
თავისი პირუტყვობით მეტყველი.
ტირიფებს ფოთლები შეცვენია,
მოვდივარ — ქალტამია სოველი;
ნოეს მაგიერ მე მრცხვენია,
ახლაც ამ უწყინარი ცხოველის.
ფშანებში ვასაკების ორკესტრია
და ტანზე ჟრიამულის სამოსელს
აცმევენ, ლანდივით რომ მომეწია
ღამე და მდუმარებით მაოცებს.
შენც ამ დუმილიდან ამოდიხარ
და ბნელში სანთელივით მინთიხარ;
ზოგჯერ ხავსიანი ქვა-ლოდი ხარ,
ზოგჯერ მგალობელი ჩიტი ხარ.
— ჩიტო, კარგი ამბავი, ჩიტო, ოქროს ნისკარტი,—
მუდამ ხელაღმართული და მშვიდობის
მთხოვნელი. —
დღემდე ასე შემომრჩა მშობელი დედის ხატი,
ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ახლობელი.

●

ფერი ფერში ირევა, ფერი ფერში გადადის —
უხილავი მხატვარი ახლა ისე ირჯება;
დარჩენია, ძვირფასო, მთვარეს განთიადამდის
სარკიათის მინდორი — ერთი გადაბიჯება.
საწუხარზე ნაკლები გასაძლები როდია
გულთან მოულოდნელი სიხარულის მიტანა, —
შემოჰყვება ფეხდაფეხ ნიავის მელოდიას
იმერეთის წაწალი — იშხნელების გიტარა.



ზურაბ ფათუაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დავაშავე?!



მხატვარ სოსო წერეთლის ხსოვნას

## ირმა კეკელიძე



„მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება, თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე. ვინა თქვა შენი გარდაცვალება? არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე"...

გალაკტიონი

მზემ ოდნავ ღია სარკმლიდან შემოაპარა სხივები და ბიჭს მძინარე სახეზე წაეთამაშა. მძინარემ გვერდი იბრუნა, სხივებმა ახლა მეორე ლოყაზე გადაინაცვლეს. ბიჭმა ულიმღამოდ გაახილა თვალები, „ნეტავ რომელი საათია", გაიფიქრა და იქვე ახლოს მდგარ მაგიდაზე დაიწყო ხელის ფათური. როგორც იქნა, იპოვა საათი. „ათის ნახევარი ყოფილა, ჯერ ადრეა, ცოტას კიდევ წავიძინებ". ბიჭი კვლავ აპირებდა ძილის გაგრძელებას, მაგრამ უცებ გამოფხიზლდა: „დღეს ხომ შაბათია, დილით წირვაზე უნდა ვიყო"... ამის გაფიქრებაზე სწრაფად წამოდგა ლოგინიდან და სააბაზანო ოთახისაკენ გაფლატუნდა...

— ისაუზმე და ისე წადი, სადაც მიდიხარ!
— მიაძახა დედამ კარებში გამავალს.
— არა, არ მინდა, მეჩქარება!
— სად გეჩქარება, ყოველთვის იგვიანებ და მაინცდამაინც ამ შაბათ დღეს გეჩქარება?
— ჰო, მეჩქარება! — გაიმეორა ბიჭმა და კარებში შეჩერდა. დედა უკმაყოფილო სახით მისჩერებოდა მას.
— ნუ იცი, დედა, მასე; ხომ იცი, რომ აუცილებელი საქმე მაქვს.
— ღმერთო ჩემო, მაინც რა საქმე გაქვს, შენ ყველაფერს „აუცილებელს" ეძახი.
— ჰო, კარგი, დაწყნარდი, მალე მოვბრუნდები! — თქვა ბიჭმა და სახემოღრუბლულ დედას ლოყაზე აკოცა...

ისმენდა ბიჭი დილის წირვას და თან ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო, რა სასიამოვნოდ მღერიან მთელს სხეულში, კიდევ კარგი, ღმერთმა ეს ტაძარი მარგუნა თავშესაფარად. დავიღალე ამდენი სიცრუისგან... ყველგან ცივი, უგულო ფორმალიზმი... გარშემო ყველაფერი ლპება, ყველაფერი იხრწნება"...

ისმენდა საგალობელს. ოქროსფერ ანაფორაში ჩაცმული მაღალი, სათნო სახის მღვდელი ხმადაბალი ხმით გალობდა: „უფალო, შეგვიწყალე!.."

„ნეტავ მაგას, უშოვნია სამუდამო თავშესაფარი. კეთილი შურით მშურს მისი... როგორ მინდა, რომ სულ აქ ვიყო, აქ ვიცხოვრო, ღმერთები ვხატო... დედა, დედა არ გამომიშვებს, მამა?!.. მამასაც გაუჭირდება, მაგრამ რბილი ხასიათი აქვს და მაინც დამთანხმდება... დედა, დედა არ იზამს, მეტყვის:; სახლში ხატე, რაც გინდა, ვინ გიშლისო!.. არა, დედა ვერ შემელევა, მას უნდა, რომ სულ გვერდით ვუავდე"!..

— უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე! — გალობდა მღვდელი და ბიჭს მისი ხმა უკვე ქუჩაში გასულს, ისე მკაფიოდ ჩაესმოდა ყურში, რომ თავისდაუნებურად ისიც იმეორებდა: „უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე"!..

— მოგწონს?
— კარგია, არა უშავს, მაგრამ...
— რა „მაგრამ"?
— რა ჟრის მაგის ხატვაა?
— აბა, რა უნდა ვხატო?
— რაც აუცილებელია!
— რას ეძახი აუცილებელს?
— დიპლომი დასაცავი გაქვს!
— დიპლომი, ჰმ!.. დავიცავ იმასაც, შენ ეს მითხარი, რა დავარქვა ამ სურათს?
— არ ვიცი, ისე კი უნდა ერიდო მაგისთანა რამეების ხატვას!
— რატომ, გეშინია, ჩემს გამო „პარტმანდატი" არ დატოვო?
— არა, შვილო, მე არაფრის არ მეშინია, მე მხოლოდ შენი მომავალი მაფიქრებს, საზოგადოებიდან გარიყული არ აღმოჩნდე!
— მერე რა, აღმოვჩნდე! შენ ჩემზე უკეთ იცი, ვინც იყვნენ საზოგადოებიდან გარიყულნი!
— ვიცი, შვილო, მაგრამ...
— მითუმეტეს, საჭირო აღარ არის, „მაგრამ"...
— შენ ფიროსმანს და გალაკტიონს ედრები?
— არა, მამა, მე არც ისეთი თავხედი ვარ... უბრალოდ იმას ვხატავ, რაც მაწუხებს და ძალიან გთხოვ, ხელს ნუ მიშლი... მხოლოდ ეს მითხარი, რა დავარქვა სურათს?
— ჩემი აზრით, „ქრისტე ასე შებრძანდა იერუსალიმში!"
— გმადლობთ, მამა, მეც ასე ვფიქრობ, „იერუსალიმში შესვლას" დავარქმევ...
— ხვალ დაცვა აქვს ბავშვს.
— ვიცი!
— ნეტა იცოდე, როგორ ვნერვიულობ!
— ვიცი!
— შენ რას ფიქრობ?
— რა უნდა ვიფიქრო, რაც მთავარია, ვადებში ჩაეტია, ორმოც დღეში ასეთი სურათი დახატა!
— რას არქმევს ნეტავ სურათს?
— ზუსტად არ ვიცი, მე მგონი, „მუსიკოსის ოჯახი" უნდა ერქვას.
— კარგია ნამდვილად, მოუკვდეს დედა, თვითონაც ძალიან ნერვიულობს!..

აუდიტორიიდან გამოსულ ბიჭს მეგობრები შემოეხვივნენ. ერთმანეთს არ აცდიდნენ, კითხვების კორიანტელი წამოვიდა: „რა თქვეს?.. „მოეწონათ?".. „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება"... „ფაქტს სად გაექცევიან, რაც კარგია, კარგია"!..

— რა ვიცი, უმეტესობამ ტაში დაუკრა, როგორც კი სურათს შეხედეს, — ამბობდა დაბნეული ბიჭი.

აუდიტორიიდან თმაჭაღარა, საშუალო ხნის, ოდნავ მოღუშული სახის კაცი გამოვიდა (ბიჭის დიპლომის ხელმძღვანელი იყო). მიუახლოვდა ახალგაზრდებს, დიპლომანტს მხარზე ხელი დაადო და დაბალი ხმით უთხრა:

— ოთხიანი დაგიწერეს!
— რატომ? — გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილები.
— იმიტომ, რომ იგი ნამდვილი შემოქმედია, — ხმადაბლა თქვა კაცმა.
— მითუმეტეს! — არ ცხრებოდნენ სტუდენტები.
— მოდა, უნდა იცოდეთ, შემოქმედი არა ხარ, თუ მტერი არა გყავს... ასე რომ, ჩემო კარგო, დღეს შენმა შედევრმა მტრები გაგიჩინა, მე ვთვლი, რომ შენ გაიმარჯვე! — თქვა კაცმა, ბიჭის მხრიდან ხელი ჩამოიღო, სტუდენტებს გაუღიმა და ნელი ნაბიჯით დასცილდა მათ.

— ნახე, რა დაუხატავს?
— ეს ხომ თვითონ არის?
— ჰო, თვითონ არის, მოუკვდეს დედა!
— ესენი? ესენი ვინ არიან?.. ჰო, მგონი შევიცანი, თუ არ ვცდები, ისინი არიან...
— ჰო, ჰო, ნახე, როგორ მუშტებით ემუქრებიან!
— თვითონ კი ხელი ისე აქვს გაწვდილი, თითქოს ამბობს, „რა დავაშავეო"...
— სწორია, სწორად ამოიცანი მისი ჩანაფიქრი, მეც ასე ვფიქრობ!..
— ეს დედაჩემია... ეს კი ჩემი მეგობარი გოგოა!
— კეთილი, სადილად ხომ დარჩებით ჩვენთან?
— კი, როგორ არა, დარჩება!
— მაშინ მე სამზარეულოს მივხედავ, შენ კი სტუმარი არ მოაწყინო!..
— რა ჰქვია ამ ნახატს?
— „გოგონა ყვავილით".
— ამას?
— ეს „ბებიის პორტრეტია", „ეს მთებია", ეს „აბსტრაქციული კომპოზიციაა", ეს „მამის პორტრეტია", ეს „მხატვრის ოჯახია"...
— ამას რა ჰქვია?
— ეს „შუშანიკის წამებაა".
— მართლა?
— რა, არა ჰგავს?
— პირიქით!
— მოგწონს?
— ძალიან!.. ეს რა, შენი პორტრეტი დახატე?
— ჰო, „ავტოპორტრეტია". მგავს?
— რა თქმა უნდა!

...იმ დილით ადრე გაიღვიძა ბიჭმა, დედას ჯერ კიდევ ეძინა. კარადიდან მამის შავი კოსტიუმი გამოიღო და ჩაიცვა. ფეხის ხმაზე დედას გაეღვიძა.

— რა ადრე ამდგარხარ! — შეეხმიანა შვილს.
— მიხდება, დედა?
— მამაშენის კოსტიუმი ჩაიცვი?!
— ჰო!
— ძალიან გიხდება!
— შენ ჩემი შექება არ გიყვარს, რადგან მოგეწონა, ეტყობა, მართლა მიხდება... მეცვას?
— გეცვას, არ გაიხადო!
— კარგი, მაშინ ამით წავალ!
— სად მიდიხარ?
— არსად, მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ უნდა გავისეირნოთ.
— კარგი, წადი!

ბიჭი დედის საწოლს მიუახლოვდა, თმაზე ხელი გადაუსვა, შებლზე ეამბორა და ჩურჩულით უთხრა:

— მაპატიე, უნდა დაგტოვო!..

ბიჭი წავიდა...

— ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა.
— რაზე ატყობ?
— ამ დილით შენი შავი კოსტიუმი ჩაიცვა და ისე წავიდა!
— მერე რა მოხდა?
— მისი ავტოპორტრეტი ნახე?.. თეთრი ჩარჩო შავად შეუღებია!
— ჰო, ვნახე!
— მერე, არაფერი უთხარი?
— კი, როგორ არა!
— მერე, რა გიპასუხა?
— შავი ფერი უფრო ეფექტურიაო... მხატვარია, თავისი საქმე ჩვენზე უკეთ იცის!
— ღმერთო, შენ გადმოგვხედე, მოუკვდეს დედა, რაღაც გული არ მიგრძნობს კარგს...

დიდ საგამოფენო დარბაზში ხალხი ირეოდა. თმაჭაღარა შუახნის ქალმა ძლივს მოახერხა დარბაზში დამძიმებული ნაბიჯის შედგმა. თავბრუ ესხმოდა, პირი უშრებოდა, ხმას კი ვერ იღებდა. ვეღარაფერს ამჩნევდა, ყველა სურათიდან ბიჭი უყურებდა, უყურებდა და ყურებში ეჩურჩულებოდა: „გახსოვს, დედა, ერთხელ ტელევიზორით ავთო ვარაზის გამოფენას რომ ვუყურებდით, ხომ გეუბნებოდი ჩემი დრო მომავალშია-მეთქი"!..

— მახსოვს, მახსოვს! — ხმამაღლა წამოსცდა ქალს, უნდოდა კიდევ უფრო ხმამაღლა ეყვირა, ეკივლა, მაგრამ მისი ხმა პირთან აფარებულმა მისსავე ხელმა და ყელთან მომდგარმა ცრემლმა ჩაახშო...

გარეთ გაზაფხული იდგა. მზემ ოდნავ ღია სარკმელში შემოაპარა სხივი და ბიჭის შავ ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტს დააფრქვია. სურათიდან ბიჭმა წამწამები აახამხამა, პირზე ღიმილი მოერია და გარშემო მიმოიხედა.

— დიდი ხანია მძინავს? — ჰკითხა მზეს ჩურჩულით.
— კი!
— დროა გამოვიღვიძო?
— დროა!

ბიჭის სულმა თითქოს სიმსუბუქე იგრძნო, შავად შეღებილი ჩარჩოდან ოთახში გადმოახტა, მის ნაბიჯებს მზის სხივებიც მიჰყვებოდა.

— ახლა რა ვქნა? — ჰკითხა მზეს.
— მე წამომყევი!
— კარგი, წამოგყვები, — უპასუხა ბიჭმა.

მზემ ბიჭის ახლადფეხადგმულ სულს თავის სხივები შეაშველა. მერე ხელში აიყვანა, ოდნავ ღია სარკმლიდან გააძურინა და გარეთ გაიყვანა, იქიდან კი მაღლა-მაღლა წაიყვანა. მზის სხივზე მჯდარი ბიჭი გაღიმებული გადმოჰყურებდა გაზაფხულის ლამაზ ფერებში ჩაცმულ და ახლად გაღვიძებულ ქვეყანას.

---

## ბეწვის შეცვლით სახეს ვერ შეიცვლი!

(იგავი)

მდელოზე მელიებს სოროები გაეთხარათ და იქ ბინადრობდნენ ჯგუფებად, ფერთა მსგავსობით. წითელი ფერის მელიების გვერდით შავი ფერის მელიები ცხოვრობდნენ, შავი ფერის მელიების გვერდით რუხნი, ხოლო რუხი ფერის მელიების გვერდით კი — ნარინჯისფერნი.

მელიები ბეწვს იცვლიდნენ იმფრად, რა ფერიც მათ ნადირობაში უწყობდა ხელს, მაგრამ ნადირობიდან ზოგი მშიერი ბრუნდებოდა, ზოგი — ნახევრად მშიერი, მხოლოდ ის მელა ბრუნდებოდა მაძღარი, წელიწადის დროთა ცვლილებას სხვებზე უკეთ რომ უხამებდა თავის ბეწვის ფერს. მიუხედავად შურისა, ასეთ მაძღარ მელიებს გამორჩევით სცემდნენ პატივს დანარჩენი მელიები.

ასეთი ნადირობით განთქმულ მოთარეშე მელიებს ერთი მიზანი აქვთ — თავიანთ თვისტომთა წინამძღვრად აერჩიათ ისინი!

**შეგონება:**

უღმერთოდ ფიქრი ბოროტების საწინდარია, ჭეშმარიტება — უკვდავების.

სერგო ჩიტაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაბურა არაბული

# ახალი ლექსები



●

ბიძაშვილებითაა სავსე სულეთი
და თუ წავალ, იმათთან წავალ!..
შავს ჩაიცვამენ, წვერს მოუშვებენ,
იწვალებენ — საფლავს გათხრიან,
ცხენებს ფაფარს დაუწნავენ,
დოლს გამართავენ,
შესანდობარს დალევენ და
პურზე ჰიქას პირს წაუქცევენ —
სიკვდილი მხოლოდ ამიტომაც ღირს!

●

მეც არაგვივით მინდა ავდიდდე
და შევაშინო სანაპირონი.
თითზე ჩავიდო ვერცხლის სათითე,
მინდა წავისვა მთების მირონი,
მინდა გავმგელდე, მინდა გავლომდე,
რომ ვქმნა საქმენი კვლავ საგმირონი...
დავბერებულვარ, ღმერთო, ერიჰა!
სიკვდილი მეძებს, სად დავემალო!
და შენც კი ჩემზე ბედნიერი ხარ,
ყოველ წელიწადს ჰყვავი, ტყემალო!
იგი წააქცევს ყველა გოლიათს
და მეც ყოველდღე მოველი სიკვდილს!
ისეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ —
კი არა ვცოცხლობ, მე სასჯელს ვიხდი!

●

დაე, ამ წუთში გავთავდე,
მოვკვდე, თქვენ დაგრჩეთ ქვეყანა,
სამოთხის კარი ღიაა,
მე მზეს ვიხილავ ველარა,
არც ვეფხვთან მეომარი ვარ,
არც ყივჩაღ შემომეყარა...
მგლებს ექეიფათ ჩემს ძვლებზე,
ყორანს ჩემს ხორცზე ეხარა.
მოვკვდები! ჰქნება ენძელაც,
დავიწვი! ჰქნება ჰეკარაც,
მე ხვალაც ამასვე ვიტყვი,
ამას ვამბობდი წელანაც...
მოვკვდე, არ ვჩივი, არ ვტირი,
წყალმა წაიღოს მკვეხარა!..

კი აჯობებდა, ჩემს ნაცვლად
ყვავილი ამოგეყვანა!..

### ნატვრა

ნეტავი ტყეში ვცხოვრობდე,
მარტო, მგლებთან და დათვებთან!
ლექსსაც დავწერდი, როდესაც
ელვა ცას გაანათებდა...
გზას მინათებდეს მგლის თვალი,
ბნელში, კუნაპეტ ღამეში,
დილით კი ქოხს ეცემოდეს
ციაგი მოკამკამე ცის,
მე მაღვიძებდეს ტოროლა,
ნოეს უხმობდეს კამეჩი.

●

ვხედავ: მთას მთვარე მხრებზე
შეუსვამს,
პოეტი დარდობს, სხვები იშვებენ...
სააქაოდან გაძევებულსა
საიქიოშიც არ შემიშვებენ!..

●

მწვანე ფერდობში კაკაბი
თავს მაწონებდა საკაბით...
მე არწივივით მოვედი
და კაკაბივით დაგაბი!..
და ბარისახოს გარშემო
ტყე ჩანდა არგასაკაფი...
მწვანე ფერდობში კაკაბი
თავს მაწონებდა საკაბით!..

●

თბილისში თოვას ვეპატიჟები,
მაგრამ არ მოდის თეთრი სტუმარი...
თებერვალია. სხედან ბიჭები,
შეექცევიან იაფ პურ-მარილს.
მხიბლავს „ფშაური მზის ნაბიჯები",
რაღაცა კეთილს მიგრძნობს გუმანი.
ვერ გამიგია, რისთვის ვისჯები,
მე, ღმერთი, რჯული, არ ვარ გურმანი...
სახლსაც ავაგებ და ვიამაყებ,
თუ წაიკითხავს ამ წიგნს მურმანი!

### წუთისოფელი

ცაზე მოჩანდა ღრუბლის ნაჭერი
და უდიდესი საიდუმლოც —
გამიმხილეს ჩვენმა ქალებმა...
ვის გაეხარდა ქვეყანაზე ჩემი გაჩენა?
ვის ეწყინება ნეტავ ჩემი
გარდაცვალება?

●

დილით, როდესაც გამოვდივარ გარეთ
სახლიდან,
ჯიბეში ვიდებ ყოველთვის პასპორტს,
ვინ იცის, იქნებ ქუჩაშიაც სადმე
გავთავდე,
ვინძლო, უცნობი და უმისამართო
მკვდარი არ ვიყო!

### ახალი რითმა

საბედოს ელის
ელისაბედი!..

●

ჯერ ვერ დავწერე ლექსი,
რომ მოგეწონოს,
დაგამახსოვრდეს, ენვერ!
ხანდახან ასე ვფიქრობ:
ვარ საოცრება მერვე!
შენს ღიმილს გაუმარჯოს
და ჩემს დაწყვეტილ ნერვებს!

### ხანძარი

იდგა და ხანძარს უცქერდა ხალხი —
გაშლილ ხელებით, დაფჩენილ ხახით...
მე ვეუბნები ქვეყანას მახინჯს:
ხანძარიც შენზე ახია, ახი!..
ვიდექ, არ მება წელზე ხანჯარი,
ჩვეულებრივი დღე იყო თითქოს.
ხანძარიც ვისთვის არის ხანძარი,
ვიღაცა ხანძრით ხელებსაც ითბობს...

●

კაცი კი არა, ვარ ნაკაცარი,
ცეცხლი კი არა, მე ვარ ნაცარი,
გათხრილი არის და სამარისკენ
ჩემი ფეხებით მივალ ცანცარით.
და არ მაბია წელზე ფრანგული
და არ მიჭირავს ხელში ხანჯარი,
უმისამართოდ ვარ დაკარგული,
და გულში რაღაც არი... არც არი...

### ჯუთა

(ტოპონიმიკური ლექსი)

ვინახულებდი „ჯვართ-ხორხს" და
„შარვანს", —
ვწუხვარ, რომ ახლა ჯუთაში არ ვარ.
და იცით ასე რამ დამალონა?
რომ ვერა ვხედავ „მთრეხს" და
„ნაღორას".
მარჯვენა ხელი მომიკვდა, ილო,
სიზმარში ვხედავ „დიდრუს" და
„მილოს".
თბილისში ლამის დავჯდე მთხოვარად,
მეც ხომ მოვთიბდი „სათბილოვანას".
ღამეა. ცაზე მთვარე დაგორავს...
აქედან ვხედავ ჩემს „შუაგორას".
ნულარ მადარდებ, ღმერთო, ნულარას,
ათოვს „ბრმა-ჩდილას" და
„საქუხარას".
მე გთხოვთ, ნურავინ გამიგებთ
ცუდად —
უბრალოდ, მე გამახსენდა ჯუთა...

●

დგას შემოდგომა ავი და ცივი,
ნოემბრის ქარი ყურებში წივის...
თოვლზე ჩანს მელას
ნ-ა-ფ-ე-ხ-უ-რ-ე-ბ-ი,
თითქოს ქალიშვილს დაებნა მძივი...
შემოდგომაა და ბელურები
ითმენენ შიმშილს, ითმენენ ტკივილს
და ყმუის მგელი (ზარი ბუნების)
და მიკიოტი კივის და კივის!..

●

რადგან თბილი და რბილია ბამბა,
რადგან რბილი და თბილია თოვლი...
თოვს. მიხარია. ეს ლექსიც, ალბათ,
მეპატიება ქვეყანამოვლილს...
თოვს. ფიფქი ცვივა თეთრ
ალუბლებად,
და არაყივით დამათრო ქარმა...
ვცოცხლობ. სიცოცხლის მეც მაქვს
უფლება
და ჯერ სიკვდილის უფლება არ
მაქვს!..

## ოსკარ უაილდი —

# სიკეთისათვის

ღამე იყო და ის მარტო იდგა.

სადღაც შორს მრგვალი ქალაქის მრგვალი კედლები დაინახა და იმ ქალაქისკენ გაეშურა. ახლოს რომ მივიდა, იქიდან მხიარული ხმები მოესმა, მალიმალ მიმოსვლისა და უამრავ ბარბითთა ჟღერა და მღერა. ჭიშკარზე დააკაკუნა. კარის მცველმა იცნო იგი და გაუღო კარი.

და იხილა სასახლე მარმარილოსი, წინა მხარეს მარმარილოსვე თეთრი სვეტები რომ ამშვენებდა, ხოლო სვეტები გვირგვინებით იყო მორთული და შიგ და გარეთაც კედარის დიდი სანთლები ენთო.

შევიდა შიგ, გაიარა ანთრაკისა და ამეთვისტოს დარბაზები და საზეიმო დარბაზს მიადგა. ნახა ვიღაც — ზურმუხტისფერ ტახტზე რომ იწვა, თავზე წითელი ვარდების წნული გვირგვინად ედგა, ხოლო ბაგე, თრობამორეულს, ვით საფერავი, წითელი ჰქონდა; და მიუახლოვდა, ხელი შეახო და მერე ჰკითხა:

„რად ცხოვრობ ასე?"

ახალგაზრდა მოუბრუნდა, იცნო იგი და პასუხად უთხრა: „მე კეთროვანი ვიყავ ოდესღაც და შენ განმკურნე, ახლა რატომ არ ვიცხოვრო ასე?"

სასახლიდან გამოვიდა და ისევ გზას მიჰყვა. ცოტა ხანმა გაიარა და დაინახა — ქალი ელვარე სამოსელით. ქალს შეღებილი სახე ჰქონდა, ფეხზე მარგალიტი ესხა. მას ნელა, პარვით, უკან მიჰყვებოდა ორფერ მოსასხამმობურული ჭაბუკი. ზღაპრულ კერპს ჰგავდა ის ქალი, და რა ვნება ენთო ვაჟის თვალებში!

მიმავალს მიჰყვა, ხელი შეახო ჭაბუკს და ჰკითხა:

„რად უყურებ ასეთი ჟინით?"

ის ახალგაზრდა მოუბრუნდა, იცნო იგი და უპასუხა: „მე ბრმა ვიყავი, შენ ამიხილე თვალი და მითხარ, სხვას, ამაზე კარგს, რას ვუცქირო?" მერე იგი ქალთან მივიდა, შეეხო მის მოკაზმულ სამოსს და შეეკითხა: „სხვა სავალი გზა არა გაქვს განა, ცოდვის გზის გარდა?" ხოლო ის ქალი შემობრუნდა, იცნო იგი და სიცილით უთხრა: „შენ მე შემინდე ცოდვები ჩემი, და საამოა ეს სავალი გზა".

და მან დატოვა ის ქალაქი. ქალაქიდან გამოსვლისას დაინახა, გზის პირას ერთი ახალგაზრდა კაცი იჯდა და მწარედ მოთქვამდა. მიაშურა, ხელი შეახო მის გრძელ თმას და ჰკითხა: „რად ტირი?" ახალგაზრდამ ახედა მას, იცნო იგი და პასუხად უთხრა: „მე მოვკვდი ერთხელ, ხოლო შენ მკვდრეთით აღმადგინე. სხვა არაფერი აღარ დამრჩა, ტირილის გარდა".

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ჩხიკვაძემ.




გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა ბექან ნამიჭეიშვილის წიგნი „დღეები...". მწერლის ამ ახალ კრებულში შესულია ავტორის დიალოგები ცნობილ ადამიანებთან მელორ სტურუასთან, დავით ყიფიანთან, ვიქტორ ჩხიკვაძესა და ბორის ყურაშვილთან, რომლებიც საინტერესოდ მოგვითხრობენ როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვა გამოჩენილ ადამიანებზეც. წიგნში შეტანილია აგრეთვე ავტორის მიერვე თარგმნილი მეტად საინტერესო მასალა „როგორ გადაარჩინა სტალინმა შოლოხოვი", ლიტერატურული და სხვა წერილები, დოკუმენტური მოთხრობა.

ამ მასალების ნაწილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულა როგორც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ისევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც და საზოგადოება მათ ყოველთვის ინტერესით ეცნობოდა.

იმედია, მკითხველი ავტორის ამ წიგნსაც არ აუვლის გვერდს იოლად.

კრებულის მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ოთარ ქანდარიას, რედაქტორია ლია შარვაშიძე.

წიგნი იყიდება თბილისში, რუსთაველის გამზირზე (№ 42) მდებარე გამომცემლობა „მერანის" წიგნის საფირმო მაღაზია-სალონში, იგი გაიყიდება აგრეთვე ქუთაისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ღირს 5 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მილოცვა

# ვახტანგ გორგანელი—70



დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს ვახტანგ გორგანელს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია·

ძვირფასო ვახტანგ! საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს —დაბადების 70 წლისთავს.

უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნით, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი.

ომი, მისი დამანგრეველი ძალა, მებრძოლთა ვაჟკაცური სული და უტეხი შემართება თქვენი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად იქცა. ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი ხალხის ხაამაყო შვილის, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილისადმი მიძღვნილი თქვენი პოემა „ნახტომი იტალიის მთებიდან“, ფორე მოსულიშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვენით აგრეთვე. პიესა „ფორე“.

ქართველი მკითხველი გულთბილად შეხვდა თქვენს პოეტურ კრებულებს, „მთელი გულით“, „მამულო, საყვარელო“, „სიცოცხლის ტალღები“, „რჩეული“, „გზა მთებში“, „ფერფლი“, „მთები და ვარსკვლავები“...

წრფელი და ალალია თქვენი პოეზია — ჩვენი თანამედროვეობის, მშობელი ხალხის და ქვეყნის მადიდებელი მართალი სიმღერა.

უყურადღებოდ არც ნორჩი მკითხველები დაგიტოვებიათ. ქართველმა ბავშვებმა შეიყვარეს თქვენი საყმაწვილო პოეტური კრებულები „დედის იმედი“, „მალხაზები“, „ზამთარი, ზაფხული და გივი“, „ვაშა, ჭაბუკო“...

აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი აშოტ გრაშის, პარუირ სევაკიანის, სამედ ვურღუნის, მუსა ჯალილის, იანკა კუპალას, პავლო ტიჩინასა და სხვების შემოქმედებას.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობთ. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრად, სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ლიტმუშაკად, მწერალთა ქვიშხეთის შემოქმედებითი სახლის დირექტორად, საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დამწყები ავტორების განყოფილების გამგედ, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს დირექტორად. ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდით ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ლიტერატურულ გაერთიანებას. ყველგან, სადაც კი გიმოღვაწიათ, ყველგან შეურცხვენლად ატარებდით ქართველი მწერლის საპატიო სახელს.

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

საქართველოს მწერალთა
კავშირის გამგეობა

# ძმაო ვახტანგ!

გესალმები და დაბადების 70 წლისთავს გილოცავ პოეტს, ძმასა და სიყრმის მეგობარს. ნახევარ საუკუნეზე მეტი დროა გასული მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს ჩვენი პირველი ლექსები წავუკითხეთ, დავმეგობრდით და ვენდეთ ერთურთს. ჩაიარა ცხოვრებამ, ეგებ წუთისოფლის ორომტრიალზე დროდადრო განსხვავებული აზრიც გვქონია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი მეგობრობისთვის. გვაკავშირებს საერთო ადამიანური ხვედრი, საერთო ბიოგრაფია, პოეზია და ბოლოს ნათელ-მირონი, როგორც ჩვენი უღალატო მეგობრობის დაგვირგვინება... ვიღებ ხელში შენს წიგნს, ვემზადები, რამე სასიამოვნო გითხრა, და, პირველ ყოვლის, ფორე მოსულიშვილისადმი მიძღვნილი შენი სტრიქონები მახსენდება:

ეს ომის გზა რა ყოფილა, დედა!
მოვდივარ და ველარ მოველ, დედი!
ჭანწი სტუმარს მიმიწოდე, დედი —
უუყვარდათქო ლხინი ფორეს, დედი!
მაგიდაზე კალამი რომ დამრჩა,
მილოცვებში გაიცვითოს, დედი!
ჩემი გადაშლილი წიგნი, დედი,
ვარსკვლავებმა წაიკითხონ, დედი!

ზუსტად ასევე, ძმაო ვახტანგ, ზუსტად ასე ფორესავით, საშინელმა ომმა შენც მოგწყვიტა მშვიდობის დღეებს, საყვარელ წიგნებს, და ცეცხლში გიკრა თავი, იმ განსხვავებით, რომ ბედისწერამ ფორესავით სასიკვდილოდ არ გაგიმეტა, სტალინგრადის ჯოჯოხეთიდან დაჭრილი მეომარი სამშვიდობოს გამოგიყვანა და სამშობლოში დაგაბრუნა. აი, საველე ფოსტის მიერ 1942 წელს თბილისში ჩამოტანილი შენი ლექსი:

გუშინ ამ დროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა
ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან,
მაგრამ ახლა ნატყვიარი ველზე ვწევარ,
და იმედად თავს მადგია ერთი მუხა..
იქნებ ფიქრობთ, გორგანელი მტრების ტყვეა,
მე კი ახლა სისხლში ვცურავ
და ვიტოვებ უკანასკნელს ჩემთვის ტყვიას,
რომ მტერს დავხვდე ვაჟკაცურად!

1943 წლიდან დღემდე ომზე ფიქრი, ომზე და საქართველოზე ფიქრი მსჭვალავს შენს ნაწერებს, ომი და საქართველო იყო და არის უმთავრესი შენს შემოქმედებაში. ესეც ითქვას, შენ შენი წრფელი და უღალატო გულის მეოხებით ჩვენზე დიდხანს შეინარჩუნე ილუზია იმისა, ვითომც მამელუკები კი არ ვიყავით, არამედ გინდა თუ არა, საქართველოს ვიცავდით იმ ომში, რომელსაც „დიდ სამამულოს“ ვუწოდებდით. „დიდი“ დიალაც და იქნებ სამართლიანიც იყო, ოღონდ არ იყო ის ომი სამამულო ომი ჩვენთვის — ქართველებისა და საქართველოსთვის! და მაინც კანონიერი და სავსებით გასაგებია ჩვენი, ომგადახდილი პოეტების წუნარი შინაგანი სიამაყე ჩვენგან გავლილი უძნელესი გზით, დაღვრილი სისხლით და ჭირში გაძლებით, სულიერი და ხორციელი სიმამაცით.

ომის თემაზე დაწერილი შენი ლექსების მშვენებაა ფრონტზე დაღუპული ქართველი პოეტის, ჩვენი თაობის კაცის, ჩვენი საერთო მეგობრის, ვაჟიკა ფხოველისადმი მიძღვნილი ლექსი.

წრფელი, გულითადი და ამაღლებულია შენი პატრიოტული თუ სატრფიალო ლირიკა.

ეს — რაც პოეზიას შეეხება, ჩემო ვახტანგ, ხოლო გული მთხოვს, შენი გარემო, შენი პატიოსანი ოჯახი და ჩვენი სიყმაწვილე გავიხსენო ორიოდ სიტყვით. თვალწინ მიდგას სიკეთით, სათნოებით ალსავსე დედაშენი, ნახევარი საუკუნისა და კიდევაც მეტი ხნის წინათ, ნაძალადევში, ერთ პატარა დაბალჭერიან ოთახში სახელდახელოდ სუფრას გაგვიშლიდა, ბოთლღვინოსაც ჩამოგვიდგამდა, თვითონ კედელთან ტახტზე მოეწყობოდა და, სმენადქცეული, სიყვარულით შემოგვცქეროდა მე და შენ — პოეზიაზე მეოცნებე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილებს... ცხონებული ჩვენ ერთად მივაბარეთ თბილისის მიწას, რის გამოც, მე გულისტკივილით ვწერდი:

დაპატარავდა ჯამაგიძის ქალი საყვარლად —
სათნო, კეთილი, ცალუღელა მთიული ქალი,
ჩვენი ვახტანგის, გორგანელის, საწყალი დედა,
ჩუმი, უთქმელი, ობლობაში პოეტის მზრდელი,—
დაპატარავდა, გაილია ცელის ქვასავით,
ჩაგვივარდა ერთ დღეს ლოგინად,
მშვიდობითო, თვალებით გვითხრა,
ჩავაბრძანეთ მუხის ჭურჭელში,
ჩავუჭუჭკეთ აბრეშუმები,
აქეთ-იქიდან შემოვუწყეთ ყვავილი ნამჯად,
მივაბარეთ თბილისის მიწას...
ვიდექ საფლავთან უხერხულად ფრთააწურული.
„ჩემი ვახტანგო!“ — ხმა ჩამესმა ანაზდად
ყურში, —
მიეხმარეთო ერთმანეთს ძმურად,
არ იყოსო, შვილებო, ღალატი!

და, მართლაც, არავითარი ღალატი ჩვენ შორის არ ყოფილა, ძმაო ვახტანგ. შენთვის უცხოა შურისა და ჯიბრის გრძნობა, რაც ღალატს წარმოშობს. ნახევარი საუკუნე ჩვენ ასე ერთობით, ასე ღირსებით გამოვატარეთ და ცხოვრების მიწურულსაც განუყრელ მეგობრებად ვრჩებით. ერთხელ კიდევ გილოცავ დაბადების 70 წლისთავს, ტკბილ სიბერეს და ათას სიხარულს გისურვებ.

მურმან ლებანიძე

# დავიწყებულ ნასახლართა მუდარა

დრონი მეფობენ, არა მეფენიო, უთქვამთ ჩვენს ძველებს და, მართლაც, რომ ძეხედავ ლოუბლებჩამოწოლილ ნასოფლარებს და თავმოოლევეულ ციხე-კოშკებს, ხავსიან ყორეებსა და მარტოდ დარჩენილ ხიდებს, სული გეხუთება, უღონობა გიპყრობს და გინდა, შენი ძახილი საუკუნეთა მიღმა გადასწვდეს იმ დროს, როცა აქ იმდენნი იყვნენ, მიწა ველარ იტევდა და მხოლოდ ბარისაკენ მიგრაცია იყო განტვირთვის ერთადერთი საშუალება. მონათესავე ტომთა შორის და ძმათა შორისაც ბევრჯერ ატეხილა დავა მიწისა და წყალ-ადგილის გამო, რადგან მწირი მთა ჭარბ მოსახლეობას უკვე ველარ გამოკვებავდა... ეს მაშინ იყო!... დღეს კი, დგანან მუცო და არდოტი, ცაბაურთა და მათურა, ახადი და გოგოლაურთა, წარო და ინდურთა მარტონი, ადამიანის ფეხის ხმა ენატრებათ და განთიადს უქათამყიულოდ ხვდებიან. კაცი არ არის ხანდახან სანთლის ამნთები და საწირის მიძღანი ადგილის დედაში ჯვარობისას. ამ სალოცავთა ყმათ კი თავისი მამა-პაპის მიწა და საერთოდ, თავისი ფესვები დავიწყებია, ბევრმა საერთოდ აღარ იცის, საიდან მოვიდა მისი წინაპარი თბილისში, ბევრმა იცის გადმოცემით, რომ სადღაც მთებში არის სოფელი მუქო, მისი გვარის თავდაპირველი საცხოვრისი, მაგრამ სად, მთიულეთში თუ თუშეთში, ფშავში თუ ხევსურეთში, ამაში ველარ ერკვევა, არა და იმ ჩამოგვალულ ყორეთა შეხება, იმ სიმაღლეებიდან სამყაროს დანახვა რაღაც ისეთს აღვიძებს ადამიანში, თავისობა და სამშობლო რომ ჰქვია.

რთულია და ძნელი ამქვეყნიური ცხოვრება და მით უმეტეს, დღევანდელობა. არ შეუძლია, ალბათ, ყველას წინაპართა ნაკვალევს მიჰყვეს, მაგრამ იმდენი მაინც გავაკეთოთ, რომ ვინა ვართ და საიდან მოვდივართ, ის მაინც არ დაგვავიწყდეს არც ჩვენ და არც მომავლეებს, დავუკარგოთ ისოვნა საკუთარი გვარისა და ჩამომავლობისა.

1991 წელს ქ. თბილისში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „მთიელთა საძმო“, რომელიც აერთიანებს სრულიად კავკასიის მთიელ ტომებს, აპირებს მთიელთა ტრადიციების აღორძინებას, ადგილზე მათ დახმარებას და მთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებას. ეს საზოგადოება თბილისში დააფუძნებს ერთგვარ კლუბს, მთიელთა თავშესაყარ ადგილს, დარბაზს, სადაც ბარად ჩამოსახლებულ მთიელთა შთამომავლობას შეეძლება მისვლა, მისთვის და მისი კუთხისათვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხების დაყენება და გადაჭრა, იქნება იგი ეკონომიკური თუ მეცნიერულ-კულტურული, დემოგრაფიული თუ სულიერი. „საძმო“ იზრუნებს მამა-პაპათა ადათ-წესების აღდგენისა და აღორძინებისათვის, რაც მთიელის შინაგანი ხასიათისათვის ასე ბუნებრივია და სისხლ-ხორცეული. საზოგადოება შეეცდება, შექმნას ისეთი გარემო, რომ ყოველმა გენით მთიელმა იქ მშობლიურ გარემოცვაში იგრძნოს თავი. იგი მთიელებს შესთავაზებს თავისი კუთხეების მიხედვით ტანსაცმელს, მიიღებს შეკვეთებს დასამზადებლად, აპირებს გამოსცეს თავისი მუდმივმოქმედი პერიოდული საინფორმაციო ორგანო, გაზეთი „არწივი“. მონაწილეობას მიიღებს და ითავებს საქართველოს მთიანეთში ისტორიული და კულტურის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციას, ამისათვის გაიღებს თანხებს. დახმარებას გაუწევს იმ პირებს, რომელთაც სურვილი ექნებათ, მამა-პაპათა ნაფუძვარზე დაბრუნებისა და დასახლებისა. იზრუნებს მთიანეთის სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის, მთიელთა ყოფისა და წეს-ჩვეულებების პროპაგანდისათვის, ეცდება, მთიანეთის სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მრეწველობის, მშენებლობის, მომსახურების, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას. საზოგადოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული კრიზისის დაძლევა, მოსახლეობაში ქრისტიანული და ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების აღდგენა და განმტკიცება, მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა.

საზოგადოება „მთიელთა საძმოს“ წევრი შეუძლია გა[illegible] ყველა მთიელს და (არამთიელს), ვისაც ამისი სურვილი ექნება აქტიური მონაწილეობა მის საქმიანობაში, შესთავაზოს წი[illegible]ბები. საზოგადოება აპირებს აქტიურ ურთიერთობებს უხუც[illegible]ელებთან, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვთ თავისი კუთხის ა[illegible]ნობა ჭირისას თუ ლხინისას, ამიტომ „მთიელთა საძმო“ სთხ[illegible]ლას, გამოეხმაურონ მოწოდებას, დაამყარონ კონტაქტი ამ საზოგადოებასთან და მიიღონ მონაწილეობა მისი საბოლოო ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საქმეში.

თუკი, ერთი მაინც, ჩამომავლობით მთიელი, დაინტერესდება თავისი ფესვებით, თავისი გვარ-ტომობით, თავისი ადათით და ტრადიციით და ამ საქმეში „მთიელთა საძმო“ დახმარებას გაუწევს, თუ ერთს მაინც გაუღვიძებს სურვილს, თავისი წინაპრის სამყოფელი მოძებნოს და იპოვოს, მაშინ ვიტყვით, რომ ჰქონია გამართლება ამ საზოგადოების დაარსებას და ამიერიდან „კეთილადამც“ ევლოს!

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის, ქ. № 31, ტ: 96-99-74 ან 96-99-76

ანგარიში: მრეწვმშენბანკი — 100609094.

საზოგადოება „მთიელთა საძმო“.

## „სამეფოო, ძველთა-ძველო!“

აფხაზეთის ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის სეზონის გახსნას. სეზონის გახსნისთანავე — ნოემბრის დამლევს თეატრმა თავის თაყვანისმცემლებს შესთავაზა პრემიერა — თბილისიდან მოწვეულმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ დადგა თავისივე პიესა — „სამეფოო, ძველთა-ძველო!“

ავტორი შეეცადა აკაკი წერეთლის პოეტური ენით მოეთხრო საქართველოს გმირული და მრავალტანჯული წარსული, რეალურად წარმოედგინა იგი და გარკვეული ოპტიმიზმით ერის მომავლისკენაც მიეპყრო მზერა.

ამ პიესით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იმისკენ, რომ ქართული ლექსი ძალუმად ჟღერდეს ქართულ თეატრალურ სცენაზე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნუგზარ ლორთქიფანიძე თითქმის ორი თვეა მუშაობს სოხუმის ქართულ თეატრში მთავარი რეჟისორის გოგი ქავთარაძის მო[illegible]ით.

სპექტაკლში „სამეფოო, ძველთა-ძველო!“ მონაწილეობენ სოხუმის ქართული თეატრის საუკეთესო ძალები — საქართველოს სახალხო არტისტები: დიმიტრი ჯაიანი, თინა ბაბლიძე, საქართველოს დამსახურებული არტისტები: ლიანა [illegible]ძე, ლერი არღვლიანი, [illegible] ხირაძე; მსახიობები: ლონდა კაცია, ლილი და ნანა ხურითები, ლარისა ადამია, გია ფარცვანია და სხვები.

სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს დამსახურებულ მხატვარს დიანა დათუკაშვილს.

თამაზ გაგელია
ქ. სოხუმი

# გამოუქვეყნებელი წერილი

ჩვენი რედაქცია მაშინ მწერალთა კავშირის შენობაში იყო მოთავსებული. რედაქციის თანამშრომლებს, ბუნებრივია, ურთიერთობა გვქონდა მწერალთა კავშირის თანამშრომლებთან, და როგორც ერთი განუყოფელი დაწესებულება, ისე ვიყავით. ხშირად იმართებოდა ძრავალი საინტერესო შეხვედრა, დისკუსია!...

...ერთი მოგონება დაკავშირებულია გამოჩენილ ამერიკელ მწერალ ჯონ სტაინბეკის ჩამოსვლასთან. მას ჩვეული ქართული გულითადობითა და სტუმართმოყვარეობით დახვდა მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა.

მისი წასვლიდან კარგა ხნის შემდეგ, რედაქციაში შემოვიდა მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი ბატონი იროდიონ ქავქარაძე, ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი ჯონ სტაინბეკის წერილი შემოგვიტანა და გვითხრა, ნახეთ, იქნებ გაზეთისთვის გამოგადგეთო. წერილი მე ჩამოვართვი და თარგმნას დავპირდი. წერილი სახლში ჩემ დასთან ერთად წავიკითხე და სახელდახელოდ ვთარგმნეთ. საინტერესოდ გვეჩვენა. გულმა არ მოგვითმინა და წერილი ჩვენს მეგობარს, მთარგმნელ თამარ ერისთავს გავაცანით. თამარმა ჩვეული გულმოდგინებითა და სიზუსტით თარგმნა ეს წერილი.

...გამოქვეყნების სურვილი სურვილად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთმა „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა პატარა ინფორმაცია „სტაინბეკის წერილი", სადაც ვკითხულობთ: „მარშან ზაფხულში გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და ერევნის ლიტერატორთა სტუმარი იყო. ამას წინათ საბჭოთა მწერალთა ლენინგრადის განყოფილებაში და სომხეთის მწერალთა კავშირში მოვიდა ჯონ სტაინბეკის წერილები. ვაქვეყნებთ ლენინგრადისადმი მოწერილ წერილს"... იქვე დაბეჭდილია წერილიც. რაც შეეხება სომხეთში გამოგზავნილ წერილს, იგი, როგორც მახსოვს, გამოქვეყნდა ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში".

**დარეჯან გაგაშელაშვილი**

## ალმოსავლეთის სამოცდამეთორმეტე ქუჩა № 190, ნიუ-იორკი, 21, 15 იანვარი, 1964
## თბილისის მწერალთა კავშირი საქართველო, სსრკ

ძვირფასო მეგობრებო!

როდესაც თქვენ დაგშორდით და ჩრდილოეთისაკენ გავფრინდით, ერთი კეთილშობილური, მაგრამ მიუღწეველი განზრახვა მქონდა — მინდოდა წერილი მომეწერა სათითაოდ ყველასთვის, ყველა ქალისა და კაცისათვის, ვინც ასე გამორჩეულ მოგონებად გვიქცია თქვენთან სტუმრობა. უნდა ვაღიარო, და ეს სამარცხვინოდ სულაც არ მიმაჩნია, რომ საამისო ძალა არ შემწევს; ამას მთელი ჩემი სიცოცხლე დასჭირდებოდა და მაშინაც ალბათ, ბევრი გამომრჩებოდა; ან კი როგორ უნდა მომეწერა ყველა მათთვის, ვისაც ხელი ჩამოვართვი, ვისაც თვალებში ჩავხედე, ვისი სადღეგრძელოც შევსვი და ვისი სახელიც არ ვიცი. რაკი ჩემი განზრახვა ვერ შევასრულე, ახლა ერთგვარი მოკრძალებით ვწერ ამ წერილს ყველა თბილისელს — მომღერალს, მწერალს, სალამურის დამკვრელს, ყველას, ვინც გვიმასპინძლა და სიამოვნება მოგვა[illegible], ვინც ჩვენსას ისმენ[illegible] [illegible]სას გვეუბნებოდა... დიას... გვეკამათებოდა კიდეც. [illegible] კარგი იყო.

ამ [illegible]ლს ვწერ ლამაზ გოგონე[illegible] [illegible]კაბის კალთების ფრიალით რომ დადიან ქუჩებში; მოხუც ჯენტლმენს, სულიერების ბალში რომ შრომობს; კაცებს, რომლებიც გულის სისხლს სწურავენ ყურძენს, და მეღვინეებს, რომლებიც ღრმად დაფლული ქვევრები მოგვიხადეს, რომ ჩვენთვის დამაჯრებული ღვინო ამოეხაპათ. მე ვწერ ამ წერილს ჩვენს შესანიშნავ თანამესუფრეებს, რომლებიც ოთხ ხმაში მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, მაღლა აწეული ჰიქებით სვამდნენ ჩვენს სადღეგრძელოს და ისეთი ქათინაურებით გვამკობდნენ, გულში ვნატრობდით, — ნეტა შეგვეძლოს დაჯერება, რომ მართლა ასეთი კარგები და მშვენიერები ვართო.

მას შემდეგ, რაც თბილისი 1947 წელს პირველად ვნახე, იგი ჩემს მეხსიერებას სიზმარივით შემორჩა. ახლა კი, როცა თბილისიდან მივდივარ, მივხვდი, ეს სიზმარი ცხადი რომ ყოფილა. ამიტომ ამ წერილს მე ვწერ თვით ქალაქს, მის მაღალ კლდეებს, მის გარეუბნებს და სართულად შემოვლებულ ფიჭვებს, მობუტბუტე მდინარეს, რომელმაც კარიბჭე [illegible] რღნა ორ სამყაროს შორის; [illegible] [illegible]სივრცეებს, გორაკებიდან [illegible] ისინი რომ მილივლივებენ [illegible] [illegible]ებიც ღიდამიწას [illegible].

მე ვწერ ამ წერილს უძველესის და უახლესის ურთიერთშეუღლებას, რაც ასე მშვიდად და შეუწნელებლივ ხდება თბილისში: ქუჩებში ვხვდებიან ადამიანები, რომელთა თვალებიდან წარსული იხედება; ახალი სამყარო შემოგყურებს წარსულის თვალებით, — ამ ადამიანთა ხელით შექმნილი ცინცხალი სამყარო. და რა გასაკვირია, რომ საქართველოში ყველაზე უხვი მოსავალი პოეზიას მოსდიოდეს.

მე ვიცი ისტორიაც და პრეისტორიაც ამ ორ სამყაროს შორის მდებარე ზღურბლისა — როგორ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან მგლებს, რომლებიც ანთებული თვალებით დაეძებდნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მიწებს და ისწრაფვოდნენ გამოეკეტათ კარები, რათა ამ გასასვლელს დაპატრონებოდნენ.

ჩანს, ეს მოხდება, — და ჩვენც ამაზე გულმხურვალედ რაღას ვინატრებდით, — რომ დროისა და ვითარების წყალობით ყველა მგელი გალიაში დაიმწყვდეს და მსოფლიოში ყველა კარი გაიხსნას. ეს ჩემი ლოცვისმაგვარი სურვილია. და რომ შემძლებოდა ჩემთვის მისია ამერჩია, სწორედ ამას ავირჩევდი — ხელი შემეწყო მგლების დამწყვდევისა და კარების გახსნისათვის.

მჯერა, რომ თბილისის ყველა კარი, ისევე როგორც თბილისელთა გულები, ღია იყო ჩვენთვის — ჩემი ძვირფასი მეუღლისა და ჩემთვის. და მე მგონია, სწორედ ამან გადამაწყვეტინა ცალკეული პიროვნებისათვის კი არ მომეწერა წერილი, არამედ ყველასთვის და ყველაფრისათვის და მეთქვა მადლობა ახევე ყველასთვის და ყველაფრისათვის.

გმადლობთ სალამურისა და სიმღერის ტკბილი ხმებისათვის. მადლობა თავზე ხილაბანდგაკრულ ქალებს, რომლებსაც სამზარეულოდან გრძელ სუფრასთან მზით გარუჯული ხელებით გამოჰქონდათ ცხელ-ცხელი კერძების ოხშივარმოდებული, მაღლა აწეული ლანგრები.

ალბათ, ბევრი რამ გამომრჩა ამ წერილის წერისას, მაგრამ რას იზამ, ქალაქისთვის წერილი ჯერ არასდროს მიმიწერია.

გამოცდილება გვიჩვენებს და ისედაც ნათელია, რომ ყველა ჩვენგანისთვის არსებითი ის არის, რაც გვეჭიდება და არ გვშორდება. და რამაც ჩვენს ხსოვნას ჰანგი ჩასჭიდა, ეს გახლავთ მზით გარუჯული ქალაქისა და ორი სამყაროს კარიბჭესთან მობუტბუტე მდინარის ფონზე გაშლილი სინათლე, მხიარულება, სიკეთე და ძალა მათი დაცვისა. ო, გახსენით ეს კარიბჭე, გევედრებით. ეს არის ყველა დროის ყველაზე მწვავე საჭიროება. გულღია ხალხს კარიც ღია უნდა ჰქონდეს.

ისევ და ისევ ჩვენი დიდი მადლობა ყოველივეს, ყველაფერს, და ყველას, რასაც თბილისის სახელი ჰქვია.

თქვენი **ჯონ სტაინბეკი**

სამოცი წელი შეუსრულდა ჟურნალისტსა და მწერალს **გურამ გომართელს**.

იგი თითქმის ოთხი ათეული წელია ემსახურება ქართულ ჟურნალისტიკას. მისი ნარკვევები, რეცენზიები, პუბლიცისტური წერილები, იუმორისტული მოთხრობები, სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, პერიოდულ პრესაში, გადაიცემოდა ტელე-რადიოთი.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ გურამ გომართელის ორ პაროდიას.



# შრომისმოყვარე ადამიანები

## პაროდია ზოგიერთ ნარკვევზე

ის-ის იყო ინათა და მამლებმაც ხადილაო იყივლეს...

დილის მზის სხივები კოლმეურნეობის თავმჯდომარის საძინებელ ოთახში შეიჭრნენ — იფიქრეს, გავაღვიძებთ შრომის გმირს, ადრიანად შეუდგება საქმეს, მაგრამ მოტყუვდნენ ცელქები: თავმჯდომარე უკვე კარგა ხანია გასული იყო სოფელში...

...კოლმეურნეობის გარაჟიდან მკვირცხლად გამოსულმა მანქანამ ფერმის წინ ოსტატურად დაამუხრუჭა. კაბინიდან დინჯად გადმოეშვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე — სქელ-სქელი, შავგვრემანი, ენერგიული, მაგრამ მშვიდი გამომეტყველების დანიელი.

ახალმოსულს ფერმის მოწინავე მუშა ვარდენ სირაძე მიეგება (სხვები თივის მოსატანად იყვნენ... გამგეც მათ გაჰყოლოდა).

— გამარჯობა შენი, ვარდენ! — მიესალმა თავმჯდომარე თავმდაბლად.

— გაგიმარჯოს, — რბილად გაეხმიანა სირაძე.

დანიელმა მზრუნველი თვალი გადაავლო ფერმას. ნამუშევარი მოეწონა, შემდეგ კი დასძინა:

— ჩვენ გეგმას გადაჭარბებით ვასრულებთ, შარშან, მაგალითად 1600 სული ღორი გავასუქეთ, თითოეული 80 კგ წონით და ამის მეოხებით 128 ტონა ხორცი ვაწარმოეთ. ჩვენმა სახელოვანმა მწველავმა ქალებმა თვითეულ ფურაზე ძროხაზე 2500 ლიტრი რძე მოიწიეს, მაგრამ ყველაფერი ეს არ შეიძლება ზღვარი იყოს, იგი ჩვენთვის არ არსებობს, ვიპყრობთ სიმაღლეს, რათა ახალ მწვერვალზე ავიდეთ!

— აბა მიღწეულზე ხომ არ გავიყინებით! — თავმომწონედ, მაგრამ მოკლედ გაესიტყვა სირაძე.

...იქვე გვერდით მინდორში კი კოლმეურნეები ორ ჯგუფად დაყოფილან და ერთმანეთს გაჯიბრებიან. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, გაშმაგებით მუშაობს, ოფლში იწურება, რათა ნამუშევარს ბარაქა დააყაროს.

ჰაერში იფრქვევა გადაბარული ახალო მიწის თავბრუდამხვევი სურნელი.

— აბა, ხარვეზი არ დაუშვათ, ზევიდან არ გადაფერფლოთ! — მალი-მალ გაიძახის ბრიგადირი ბაგრატი.

— რისი ხარვეზი, რა ხარვეზი? ასეთ რამეს ჩვენ ჩვეული არ ვართ! — ეხმიანება ბრიგადირს საშუალოდამთავრებული, სამხედრო მოვალეობამოხდილი ამირან ვარდინავა.

თავმჯდომარე მხარს უბამს ბრიგადირს.

— განა სწორი არ არის? განა ჩვენმა „რკინის ხარებმა" შეუფერხებლად არ იმუშავეს? დათესეს, დაახვავებს მშობლიური მინდვრები? განა ამის წყალობით არ იყო, რომ სიმინდმა ტანი აიყარა და ორი-სამი ტარო დაისხა?

— არიქა, ვიჩქაროთ! მეორე ბრიგადამ არ გვაჯობოს... დღეს მათ სირცხვილი უნდა ვაჭამოთ! — მალიმალ გასძახებს თავის ბრიგადას ბრიგადირი და ისინიც ხელმძღვანელის ყოველ გაძახებაზე ტემპს უმატებენ.

— სიჩქარით საქმე არ კეთდება, დინჯად! — ღიმილით ეხმიანება მშრომელებს თავმჯდომარე.

მოწინავე ბრიგადა „არიქას" ძახილით, ყიჟინითა და შეძახილებით მიიწევს წინ! მას კვალდაკვალ გაშმაგებით მისდევენ მეორე ბრიგადის წევრები.

ჰაერში გუგუნებს სიმღერის ექო...

მზე საშუადღეოზე წამოიჰრა... მამალმა საშუადღეოც იყივლა.

დაღლილი კოლმეურნეები ჩრდილებქვეშ დაეშვნენ.

ისადილეს. ცოტა სული მოითქვეს და კვლავ შრომის ფერხულში გადაეშვნენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბრიგადირი ისევ ხარვეზსა და გადაფერფლაზე გაიძახიან; ხან ერთს გამოსტაცებენ ბარს, ხან მეორეს. ისინიც ბარავენ! ამით უფრო მეტი ხალისი შეაქვთ მუშაობაში!

...ასე მთავრდება დღე, ზუსტად ასევე იწყება მეორე დღეც...

# პაკეტი გადავარჩინე

## ანუ როგორ იწერება ზოგიერთი მემუარი

საბრძოლო ტანკის გვერდით ვიყავი წამოწოლილი და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ვუჭვრეტდი. ჩემი მშობლიური სოფლის სალამო გამახსენდა...

თავზე ზორზოხა სერჟანტი წამომადგა. ბიჭებს იგი არ გვიყვარდა და „ეშმაკას" ვეძახდით.

დივიზიონის უფროსი გიბარებსო, მითხრა და ისე გაიპარა, როგორც მოიპარა.

ნახევრადბნელ მიწურში თავდახრილი შევედი, თვალი რომ შეეჩვია სიბნელეს, დავინახე: პოლკოვნიკს მხრებზე მაზარა მოეგდო და ფეხზე თვლემდა, მე ხმა არ ამოვიღე, გაღვიძებას მოვერიდე, რადგან ვიცოდი, ოცდაცხრამეტი საათი გადიოდა, რაც მას თვალი არ მოეხუჭა. ასე უძრავად ვიდექი, სანამ მეც არ ჩამეძინა. უცებ შეძახილმა გამაღვიძა:

— ტოლია!. ნატაშა!... ლიუბა!... ბორია!...

მივხვდი, ცოლ-შვილი მოაგონდა საცოდავს: ნეტა, მეც მენახა ცოლ-შვილი სიზმარში-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ აბა, როგორ ვნახავდი, როდესაც არ მყავდა!! მე ხომ 17 წლის ვიყავი.

მაინც არ გავაღვიძე პოლკოვნიკი და თვლემა გავაგრძელე.

უცებ შემომესმა:

— ეი! შენ ულვაშიანო! (მე, როგორც ქართველი, ულვაშებს ვატარებდი და ბიჭებიც „ულვაშებიანს" მეძახდნენ).

— რას გაშტერებულხარ?

შევკრთი, მაგრამ არ დავიბენი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! გამოშტერებული გერმანელები არიან! — მივუგე სწრაფად და ხუმრობით.

პოლკოვნიკმა თავი გვერდზე გადააგდო და გულიანად იცინა. იმდენი იცინა, რომ ისევ ჩაეძინა. მე, საერთოდ დივიზიაში ხუმარას სახელი მქონდა დაგდებული და ბიჭები „მასხარას" მეძახდნენ.

ამასობაში ზუსტად 48 წუთი გავიდა, ვიფიქრე, სადაცაა არტმომზადება დაიწყება და „ფრიცებს" (ასე ვეძახდით ბიჭები გერმანელებს) კუდით ქვას ვასროლინებთ-მეთქი; მაგრამ ისიც ვიფიქრე, პოლკოვნიკის გარეშე როგორ დავიწყებთ-მეთქი და ჩავახველე, რათა უფროსი გამეღვიძებინა.

— რას ახველებ, შენ გგონია მე მძინავს?! — მკაცრად, მაგრამ სამართლიანად შემომძახა პოლკოვნიკმა.

მე არ შევშინდი და ისევ ხუმრობით მივუგე:

— ძილი რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა.

ამაზე პოლკოვნიკს აღარ გაეცინა, ალბათ, აღარ ეცინებოდა და ამიტომ ბრძნულად მითხრა:

— აი, ეს საიდუმლო პაკეტი სასწრაფოდ უნდა მიიტანო შტაბში!

მე სიტყვის დამთავრებაც კი არ ვაცადე და შტაბისაკენ გავქანდი. გავრბივარ და თან მიმაქვს გულში ჩაკრული პაკეტი.

ეტყობა, გერმანელმა მზვერავებმა შემნიშნეს და ჩემს დასაჭერად თვითმფრინავები გამოგზავნეს. მე ტრიალ მინდორში გავრბოდი... გერმანელი „ხენკელხები" მოდიოდნენ, როგორც ხინკლები. დავითვალე. ოცი იყო. მე მაინც გავრბოდი. ერთი „ხენკელხი" დაწინაურდა და პიკირებით წამოვიდა ჩემსკენ. მე იქვე ყუმბარისაგან ამოთხრილი ორმო შევნიშნე. გამახსენდა მამაჩემის დარიგება: შვილო, სადაც ბომბისგან ამოთხრილი ორმო ნახო, იქ შეაფარე თავი, მეორედ იქ ბომბი არ ჩამოვარდებაო. მეც ასე მოვიქეცი — გავქანდი და ორმოში ჩავხტი, თან უბეზე ხელი მოვიხვი, პაკეტი ხომ არ დამეკარგა-მეთქი. ყველაფერი რიგზე იყო. ორმოს ფსკერს გავეკარი და თოფი მოვიმარჯვე.

— ითლად არ დაგითმობ სიცოცხლეს ფრიცო! (ბიჭები გერმანელებს „ფრიცებს" ვეძახდით). — დავიყვირე, და როდესაც თვითმფრინავი მომიახლოვდა, დავუმიზნე და მფრინავს ვესროლე. ეტყობა ოკუპანტს (გერმანელებს ხანდახან ასეც ვეძახდით ხოლმე ბიჭები) ტყვია თვალებში მოხვდა, დავინახე სახეზე როგორ იტაცა ხელი, რომ დაბრმავდა და დაიბნა, კიდევ იმით მივხვდი, რომ იგი უაზროდ აიჭრა ჰაერში და განუწყვეტლივ ისროდა, მხოლოდ ამჯერად თავის თვითმფრინავებს უშენდა ტყვიებს. სანამ სხვები გონზე მოვიდნენ, ჩემ მიერ დაჭრილმა მფრინავმა ყველა თავისი თვითმფრინავი ძირს ჩამოყარა მერე, ეტყობა, მიხვდა, რაც ჩაიდინა, სახეს ხელი გაუშვა და მიწისკენ დაეშვა... თავი აიფეთქა.

მე ამ სეირს ორმოდან ვუყურებდი, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ამოვედი, ტანსაცმელი გავიფერთხე, კიდევ ერთხელ მოვიძიე პაკეტი და აჩქარებული ნაბიჯით წავედი შტაბისაკენ.

...არტმომზადება ჩვენმა ჯარებმა ზუსტად დანიშნულ დროზე დაიწყეს. ზარბაზნების გრუხუნს ყურს ვუგდებდი და მიხაროდა, რომ ამაში ჩემი ხელიც ერია.

1968 წ.

**გურამ გომართელი**




გამომცემლობა „საქართველო" მკითხველ საზოგადოებას სთავაზობს ირაკლი ბაზაძის ლექსთა ახალ კრებულს. მასში მოთავსებული ლექსები სამი ათეული წლის მანძილზე იწერებოდა და ერთგვარი პოეტური ბიოგრაფიაცაა შემოქმედი კაცისა.

„სიზმრის (რომელიც დღემდე არ მტოვებს), ჩემი ბავშვობის გარემოს (რომელიც უსასრულობად იქცა), შიშის (რომელიც ვერაფრით დავჯაბნე), სურვილის (რამაც დღემდე მომიყვანა), ტკივილის (რომელიც ჩემი განუყრელი თანამგზავრია), ჩემეული ასახვაა ლექსთა ეს კრებული", — გვამცნობს „სილის სასახლის" ავტორი.

# მიხეილ ჯავახიშვილის ახლებური წაკითხვისათვის

ტარიელ კვანჭილაშვილი

გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება 1992 წელს დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. თუმცა ამ იუბილეს აღნიშვნა ორი წლის დაგვიანებით არის გათვალისწინებული (მწერალი დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს), ქართველი საზოგადოებრიობა ამ გადაწყვეტილებას მიესალმება. ჩვენი ვალია, იუბილე ღირსეულად აღვნიშნოთ, რადგან საქართველოსთვის დიდად ნაღვაწი და ნაწამები მწერალი თავისი შთამომავლობისაგან იმსახურებს ყურადღებასაც და უკვდავყოფასაც.

შეიძლება ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილის ხვედრი უიღბლო და უბედური იყო. ჯერ კიდევ ჭაბუკობაში მან მწარედ განიცადა ოჯახის დიდი ტრაგედია, ყაჩაღთა მიერ დედისა და დის დახოცვა, რასაც მოჰყვა დარდისაგან გათანგული მამის სიკვდილი და ოჯახის დაქცევა. შემდეგში მწერალი რუსეთის ცარიზმის მხრიდან არაერთხელ განიცდიდა დევნა-გადასახლებას, რის გამოც წლების განმავლობაში იძულებით მოშორებული იყო სამშობლოსგან და მის სულში ღვივდებოდა მიწის ყივილი. ტრაგიკული იყო მ. ჯავახიშვილის ცხოვრება 20-30-იან წლებში, როცა ბოლშევიკური ლიტერატურული კრიტიკა მას გამუდმებით თავს ესხმოდა და სიცოცხლეს უმწარებდა. ყველაფრის კულმინაცია კი გახდა 1937 წელი, როცა ხელისუფლებამ ის დააპატიმრა და წამებით სული ამოხადა. ჩვენ არა გვაქვს ეპოქის ამ დიდი მწერლის საფლავი, თბილისში არა დგას დიდი მამულიშვილის ძეგლი. ამას რომ ვიხსენებთ, მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას მწერლის დაბადების 110 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

ამ წერილში კი მსურს ერთი საკითხის წამოჭრა: საჭირო და აუცილებელია მიხეილ ჯავახიშვილის მემკვიდრეობის ახლებური წაკითხვა, რათა მომავალმა თაობებმა უფრო მართალი და სრული წარმოდგენა იქონიონ ამ დიდ მწერალზე.

საქმე ის არის, რომ მწერლის რეპრესირებამდე სულ სხვა მიზეზებისა და გარემოებათა გამო მ. ჯავახიშვილის შემოქმედება ობიექტურად და სიმართლით არ ყოფილა შეფასებული. პირიქით, 20-30-იან წლებში მას უმეტესად აფასებდნენ მტრულად, ვულგარული სოციოლოგიური კრიტიკის პოზიციებიდან, ამახინჯებდნენ სიმართლეს მწერლის ნააზრევის შესახებ, გასაქანი ეძლეოდა უვიცობას კრიტიკაში, იდეური სიბეცე ზეიმობდა და ამისი შედეგი იყო გაუგონარი თავდასხმები მ. ჯავახიშვილზე. ასეთმა ლიტერატურულმა გარემომ დიდად შეუწყო ხელი მწერლის ტრაგიკულ აღსასრულს. ხოლო რეაბილიტაციის შემდეგ, ძირითადად, მწერლის ნაღვაწი ფასდებოდა ისეთი აქცენტით, რომ მისი რეაბილიტაცია გამართლებულიყო, ე. ი. მწერალი საბჭოთა წყობილების ერთგულად წარმოჩენილიყო და ამით დამტკიცებულიყო, რომ მისი რეპრესირება არა მარტო შეცდომა, არამედ დანაშაულიც იყო. ასეთი პოზიციიდან მწერლის შემოქმედების შეფასება კი იწვევდა ცალმხრივობას, როცა იჩქმალებოდა, ან უკანა პლანზე გადადიოდა ის ეროვნული სულისკვეთება, რითაც ასე ძლიერ არის გაჟღენთილი მიხეილ ჯავახიშვილის მთელი შემოქმედება. ახლა კი დადგა დრო, როცა ყველაფერი სიმართლით უნდა შეფასდეს და ყველაფერზე ობიექტურად ითქვას. ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი მ. ჯავახიშვილის ახლებური წაკითხვა.

1937 წელს ჯვარცმული მიხეილ ჯავახიშვილი 1954 წელს მკვდრეთით აღდგა და ამაღლდა. ისტორიამ სწორად განსაჯა და სიმართლემ გაიმარჯვა, სამართალმა პური ჭამა. ამ დროიდან იწყება მწერლის ახალი ცხოვრება, მაგრამ უკვე არა ხორციელი, არამედ სულიერი, რადგან ახალ თაობებს ის აძლევს ისეთ სულიერ საზრდოს, რომელიც ამაღლებს, ამშვენიერებს, ასპეტაკებს და ზნეობრივად წმინდას ხდის მკითხველთა მილიონებს.

მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ დაწერილ წიგნებსა და სტატიებში მიხეილ ჯავახიშვილს რომ ეძღვნება, რადიკალურად შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება. ამიერიდან მწერლის ნეგატიური შეფასება ადგილს უთმობს პოზიტიურს, ოღონდ ახლა ძირითადი აქცენტი გადატანილია სოციალურ პრობლემატიკაზე, სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები — ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანისტური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და სხვები ნაკლებად წარმოჩინდა. ამით ერთგვარად გაფერმკრთალდა ის სიდიადე, ის მასშტაბურობა, ის ბრწყინვალება, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილს სინამდვილეში აქვს და რითაც იგი სცილდება ეროვნულ ფარგლებს და საკაცობრიო მნიშვნელობას აღწევს. ამიტომ საჭიროა ახლა მაინც სიმართლით და სრულად ითქვას ყველაფერი და მიხეილ ჯავახიშვილის მემკვიდრეობის ახლებური წაკითხვით შევეცადოთ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ამ დიდი მწერლის სიმაღლე და სიღრმე, მისი ყველა განზომილება.

ერთ წერილში არ მოხერხდება მ. ჯავახიშვილის მდიდარი შემოქმედების ახლებური წაკითხვით გაჩენილი ახალი მოსაზრებების გამოთქმა, ეს გაცილებით დიდი საქმეა. მას ხელი უნდა მოჰკიდონ ახალგაზრდა ლიტერატორებმა, ვინც თავისუფალია ძველი სტერეოტიპებისა და ნაშინდელი იდეოლოგიური წნეხის გავლენისაგან. სწორედ ახლები, თავისუფლების ატმოსფეროში აღზრდილნი შეძლებენ მწერლის შემოქმედების ჭეშმარიტ შეფასებას. მე კი ამ წერილში ოროოდე საკითხით შემოვიფარგლები.

ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა ეროვნული მოტივი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. 1932 წელს გამართულ დისკუსიაზე, რომელიც „არსენა მარაბდელის" განხილვას მიეძღვნა, მწერალთა კავშირში გამართულ პაექრობაზე ე. წ. „ურა კრიტიკოსები" თავს დაესხნენ რომანის ავტორს და სულ ნაციონალისტი, ფეოდალთა აპოლოგეტი, კლასობრივი ბრძოლის უარმყოფელი უძახეს. დიდი მწერალი საპასუხო სიტყვაში იძულებული გახდა მოეგერიებინა ეს აღვირახსნილი თავდასხმები და განეცხადებინა, რას ბრძანებთ, მე ამ რომანში კლასობრივი ბრძოლა, პირიქით, მძაფრად ვუჩვენე, რომანი 15-20 წლით ადრე რომ დამეწერა, ამ ბრძოლას ასე არ გავამძაფრებდიო, ახლა საბჭოთა ეპოქას გავუწიე ანგარიში და ამიტომ კლასობრივი ბრძოლა გავამწვავეო. რაც შეეხება ჩემს ნაციონალიზმს, იგი მხოლოდ ჯანსაღი ეროვნული გრძნობაა, აბა ჩამოაშორეთ საქართველოს ისტორიას ეროვნულობის შესანარჩუნებლად გაწეული ბრძოლები: ამბები და ხელთ რაღა დაგრჩებათო. თქვენ ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებთ შოვინიზმსა და ნაციონალურობას, ასე არ შეიძლებაო. მწერალმა ეს ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ბევრს ვერ შეასმინა და მის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა.

დღეს რომ ვუკვირდებით, ცხადია, „არსენა მარაბდელში" სოციალური და ნაციონალური ერთად და თანაბარი ზომით არის გაშუქებული. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსებთანაც ეს საკითხები თანაბარი ზომით და ერთად არის ნაჩვენები. ვინც ერის ბედნიერების სადარაჯოზე დგას, ის სოციალურსა და ნაციონალურს ერთმანეთისგან ვერ გათიშავს, ერთმანეთს ვერ დააშორებს, რადგან სოციალური თავისუფლება ისევე აუცილებელია, როგორც ეროვნული თავისუფლება და პირუკუ. რომელიმე მათგანის გარეშე ხალხი ბედნიერი ვერ იქნება. ამ თვალსაზრისით დიდ გაკვეთილს იძლევა ილია ჭავჭავაძე, ვინც ბატონყმობის წინააღმდეგ, ე. ი. სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ისევე ძალით იბრძოდა, როგორც ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ე. ი. ეროვნული განთავისუფლებისათვის. ეს კარგად არის ცნობილი.

„არსენა მარაბდელშიც" მარაბდელი ყმა გლეხების ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მკაფიოდ და ძლიერად არის დახატული და გამოკვეთილი. რომანში დახატულია ისეთი სიტუაციები, ისეთი ვითარებანი, რომელთა ფონზე და წიაღში გაბედულად იბრძვიან რომანის პერსონაჟები, რომლებიც ვერ ურიგდებიან სოციალურ ჩაგვრას, მებატონეთა მხრივ ძალადობას, მათს უსამართლობას და იარაღით ხელში იბრძვიან სოციალური სამართლიანობისათვის.

ამის გვერდით „არსენა მარაბდელი" თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ეროვნული იდეით, ეროვნული ღირსების დაცვისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის მაღალი აზრით. რომანის დასაწყისშივე, როცა მაიორი არლოვი ხეპრულად ცდილობს ღვთისავარს ხელიდან წაგლიჯოს საქართველოს მოწინავე დროშა და ამით შეურაცხყოს ქართველთა ეროვნული ღირსება, არსენა ოძელაშვილი გამოიჩენს არა მარტო სიმკვირცხლეს და აჯობებს არლოვს, არამედ ეს ქართველი ახალგაზრდა ეროვნული შეგნებით არის დამუხტული, მან იცის, რომ დროშის გადარჩენით ის გადაარჩენს ქართველთა ღირსებასა და სახელს, რომელსაც გარედან მოსული უხეში ძალა შერცხვენას უპირებს. ეს ეპიზოდი აზრობრივად ძალზე მეტყველი და ტევადია. რომანის ფინალში დროშის შესახებ კვლავ მიგვანიშნებს მწერალი.

რომანში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აზრი, ეროვნული თავისუფლების იდეალი კიდევ უფრო ფართოდ და ღრმად არის გატარებული იმ ვრცელ ეპიზოდებში, რომელნიც 1832 წლის შეთქმულებას და შეთქმულთა სახეების წარმოჩენას ეთმობა. აქ არიან იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ალ. ჭავჭავაძე, ალექსანდრე, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი და სხვები, ვინც რუსეთის იმპერიის მონობიდან საქართველოს გამოხსნის იდეას მაღლა ატარებს და ამ შეთქმულებაში მონაწილეობით ცდილობს ამ იდეის ხორცშესხმას, მის პრაქტიკულ განხორციელებას. შეთქმულთა შეხვედრები, მათი საუბრები და მოქმედება რომანის მკითხველს ეროვნული მუხტით ავსებს, აღაფრთოვანებს, საქართველოს განთავისუფლების სურვილით მსჭვალავს, მოქმედებისკენ მოუწოდებს...

მეტყველი და დატვირთულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „არსენა მარაბდელის" ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდიც, სადაც არსენას ვაჟი მამისეულ დროშას ეპოტინება და მის აფრიალებას ლამობს. ეს ადგილი იმედით ავსებს მკითხველსაც და ამ „მგლის ლეკვის" შემხედვარეთაც, რადგან ამითაც ჩანს, რომ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა პერსპექტიულია, ეს დროშა მომავალშიც საიმედო ადამიანთა ხელში გადავა; მას ახალი თაობა ძირს არ დააგდებს, ეს იდეა უკვდავია.

რაც ასე სქემატურად ახლა აქ ითქვა, იგი ფართო გაშლას და განსჯას მოითხოვს. ადრე ეს საკითხები ერთგვარად იჩქმალებოდა, განსაკუთრებულად კი 1832 წლის შეთქმულებაზე ლაპარაკი არ ითვლებოდა „კარგ ტონად". ადრე მეტი აქცენტი სოციალურ და კლასობრივ ბრძოლაზე კეთდებოდა. ეს იყო უკუღმართი ეპოქის ბრალი. ახლა კი, როცა საქართველოს რესპუბლიკას სათავეში უდგას ეროვნული ხელისუფლება, დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ეროვნული იდეისადმი დამოკიდებულებას, ერის ტკივილების ჩვენებას; ეროვნული პრობლემების მძაფრად დახატვას და წარმოჩენას შესაფერისი ადგილი უნდა დაეთმოს და ამით უნდა აღდგეს სიმართლე და ჭეშმარიტება.

კიდევ უფრო მძაფრად, ეროვნული ტკივილით ჭამოწვეული კივილით, სათცარი ძალით არის დახატული საქართველოს მომავლის ქართველი ერის წინაშე აღმართული საფრთხის მთელი საშინელება „ჯაყოს ხიზნებში". ვიღაც გადამთიელის, უხეში და ტლანქი, ცბიერი და მუხანათი ძალის შემოვარდნა საქართველოში ქვეყანას გადაშენებით, წალეკვით ემუქრება. ეს ძალა ქართველებს უპირებს მიწა-წყლის, ქონების, ზნეობის, ისტორიის, მამულის, პატივის — ყველაფრის წართმევას ისევე როგორც ეს თეიმურაზ ხევისთავის მიმართ მოიმოქმედა ვიღაც ჯაყო ჯივაშვილმა. რომანში დახატული გარემოებანი, სიტუაციები, მათში მოქმედი პერსონაჟები, მათი თავგადასავლები, ყველაფერი ისეა დახატული, რომ მწერალი მშობელ ხალხს აფრთხილებს, აფხიზლებს, განგაშს ტეხს, რათა მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილოს.

ჩვენს დღეებში მომხდარმა მწარე ამბებმა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რომ დატრიალდა, ოსი ექსტრემისტების თავხედობამ, მათ მიერ საქართველოს ტერიტორიის მიტაცების ცდამ, რასაც სისხლისღვრა მოჰყვა და ძირეულ ქართულ მიწაზე ტრაგედია დაატრიალა, ბევრი ქართველი აალაპარაკა იმაზე, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ როდის იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი საშიშროება და საფრთხე. ჩემის მხრივ დავუმატებ, რომ მწერალმა მოქმედება თუმც სამაჩაბლოში გაშალა, მაგრამ საფრთხე მხოლოდ ამ ტერიტორიით არ შემოფარგლა, მან მთელი საქართველოს წინაშე აღმართული საფრთხე იგრძნო და ჩვენც დაგვანახა მისი სავალალო მოსალოდნელობა. ვაგლახ, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ყრუ და ბრმა აღმოჩნდა, მას არც არაფრის გაგონება და არც დანახვა არ სურდა, ის ყურმოჭრილი მონასავით ასრულებდა მოსკოვში გამოგონილ „ინტერნაციონალიზმის" ლოზუნგს, რომელიც გამორიცხავდა ეროვნულს, ამკვიდრებდა ერების აღრევის ბნელ პრაქტიკას, რაც ყველას გარუსებას ისახავდა მიზნად. მიხეილ ჯავახიშვილი კი მაშინაც ეროვნულობის საგუშაგოზე იდგა, ის განგაშის ზარებს არისხებდა, რეკდა. ბევრი ქართველი ამ ბოლო დროს სამაჩაბლოში მომხდარმა ტრაგიკულმა ამბებმა მხოლოდ ახლა გამოაფხიზლა, ახლა მიახვედრა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ადრე შემჩნეულ და განცხადებულ საფრთხეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დიდი მწერალი დღესაც მოქმედებს, ის მთელი არსებით დგას ეროვნული მოძრაობის შუაგულში და სწორ ორიენტირებს გვთავაზობს, გვასწავლის, რა ვაკეთოთ, საით ვიაროთ. „ჯაყოს ხიზნებში" დასმულ მწვავე საკითხს აქტუალობა დღესაც არათუ არ დაუკარგავს, არამედ უფრო აქტუალურიც კი გახდა და არა მარტო სამაჩაბლოს ფარგლებში. არამედ მთელ საქართველოში.

ახლა ავიღოთ მოთხრობა „მიწის ყივილი", რომელშიც დიდი ძალით არის ნაჩვენები პიროვნების ტრაგედია, რაც სამშობლოდან მის მოწყვეტას, სხვათა სამსახურში გატარებულ ცხოვრებას მოჰყვება. ეს მოთხრობა ძლიერი ემოციური დატვირთვით და ფსიქოლოგიური წვდომით [illegible] ამიტომ მკითხველს გულგრილს არ ტოვებს, ის თანაგრძნობით აღიქვამს ანდრო კაიშაურის ტრაგედიას. მის დაუოკებელ ლტოლვას სამშობლოსაკენ, რათა სიბერეში, სიცოცხლის დასასრულს მაინც იხილოს მისი ცა, ხოლო სიკვდილის შემდეგ თავისი ძვლები მშობლიურ მიწაში დაიმარხოს. თანაგრძნობის პარალელურად მკითხველს უჩნდება კითხვა — ვის ემსახურა ეს კაცი, რატომ შეალია მან თავისი ცოდნა და ენერგია სხვათა კარზე სამსახურს, რატომ არაფერი გააკეთა საქართველოსთვის; რატომ დაივიწყა ყველაფერი ქართული, ენაც კი, და რატომ გახდა ასეთი მიუსაფარი და საცოდავი? ამ კითხვების დასმას მოჰყვება კაიშაურ-კაზორის მიერ განვლილი ცხოვრების გზის დაგმობა, იგი მკითხველს გაუმართლებლად მიაჩნია და მიდის ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ ყველა ადამიანი თავის ხალხსა და სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს, ამაშია ადამიანის ცხოვრების გამართლება, ესაა მისი კაცობის, მისი ღირსების შემფასებელი კრიტერიუმი, პატრიოტიზმის პრაქტიკული, საქმით გამოვლენა. „მიწის ყივილი" ქართველ კაცს თავისი მიწისათვის სამსახურისკენ მოუწოდებს. გზასაცდენილსა და გადასვეწილსაც კი მიწის ყივილს აგრძნობინებს და სინანულს განაცდევინებს, რომ ამაოდ დაშვრა.

ისე არავინ გამიგოს, თითქოს მ. ჯავახიშვილის ახლებური წაკითხვისას მხოლოდ მის ეროვნულ კონცეფციაზე გადამქონდეს ყურადღება, არა, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ამ საკითხისა. მას ახლებური წაკითხვა სჭირდება მრავალი სხვა ასპექტითაც. მაგალითად, სრულად არის გაგებული თუ არა მიხეილ ჯავახიშვილის დაინტერესება საკაცობრიო პრობლემებითა და იდეალებით? ვფიქრობ, რომ არა.

ამისთვის საკმარისია დავუკვირდეთ თუნდაც მხოლოდ რომან „თეთრი საყელოს" შეფასებას ქართველი კრიტიკოსების მიერ. ცნობილია, რომ რომანის წაკითხვისას ერთმა ქართველმა კრიტიკოსმა ისიც კი „მოახერხა", რომ მასში „რადიოსა და ტილის" დაპირისპირება დაინახა. მეორე კრიტიკოსმა ელიზბარი და თეიმურაზ ხევისთავი გააიგივა, ისინი თანაბრად შეაფასა. რამდენიმე კრიტიკოსმა ხომ, თითქოს შეთანხმდნენო, რომანი მიუღებლად, დროისა და ქაღალდის ტყუილად ხარჯვის ფაქტად გამოაცხადეს. ეხლა რომ ვიძახოთ, ეპოქა იყო ისეთიო, განა მართალნი ვიქნებით?

სინამდვილეში მ. ჯავახიშვილმა ამ რომანში დააყენა და სავსებით ახლებურად გადაჭრა საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა ცივილიზაციის მიღებისა თუ მისთვის ზურგის შექცევის შესახებ. ცნობილია, რომ იგი მსოფლიო მწერლობაში ადრე დაისვა და გადაწყდა ცივილიზაციის უარყოფის სასარგებლოდ. ამის პიონერი იყო ჟან-ჟაკ რუსო, რომელსაც მიმდევრები სხვა ქვეყნებშიც გაუჩნდნენ. მაგრამ ჩვენი მწერალი მათგან სულ ცოტა ორი რამით მაინც განსხვავდება. ერთი, რომ საკითხი განიხილა ქართულ სინამდვილეში და ახალ დროებაში. მეორე, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მ. ჯავახიშვილმა საკითხი გადაწყვიტა ცივილიზაციის მიღების სასარგებლოდ, მისი მიღების აუცილებლობას დაუჭირა მხარი და გვითხრა, რომ ცივილიზაციის განვითარებას ზურგი კი არ უნდა შევაქციოთ, იგი უნდა მოვიღოთ და ადამიანთა სამსახურში ჩავაყენოთ. ყოველივე ამას მე აქ სქემატურად ვამბობ. საჭიროა ამ რომანისა და მწერლის ოროოდე მოთხრობის ამ თვალსაზრისით ახლებური წაკითხვა და გამომზეურება იმისა, რითაც თავის მოწონება შეგვიძლია, კერძოდ, ქართველი მწერლის აზროვნების საკაცობრიო მასშტაბებით.

მიხეილ ჯავახიშვილმა გასაოცარი მხატვრული ძალით, უდიდესი დამაჯერებლობით და მკაფიოდ დახატა სოციალური, ზნეობრივი და პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ჩვენ განზოგადებულად ვუწოდებთ ჯაყოობას და კვაჭობას, რაც ეროვნული მასშტაბისაც შეიძლება იყოს და მსოფლიოსაც შეიძლება სწვდებოდეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში დასაგმო-

(დასასრული მე-12 გვ.).



(დასასრული)

ბი და უარსაყოფია, მას უნდა ვებრძოლოთ. ამ საშინელ სენს ჩვენმა მწერალმა ომი გამოუცხადა, დაგვარწმუნა მის დამღუპველობაში და გაგვაფრთხილა, რომ ფხიზლად ვიყოთ, არც კვაჭობისა და არც ჭაყობის მსხვერპლნი არ გავხდეთ, თორემ დავიღუპებით. შემდგომში ამას პოლიკარპე კაკაბაძემ გვერდში დაუყენა ყვარყვარეობა და მძაფრად გვიჩვენა ამ სენის საშიშროებაც. ეს სამი რამ XX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ისე დახატა, რომ ჩვენი მწერლობის საგანძური ამით დიდად გამდიდრდა. საჭიროა ყოველივე ამაზე ახლებურად მსჯელობა.

ქართულ ლიტერატურაში პირველად და დიდი ტკივილის განცდით შექმნა მიხეილ ჯავახიშვილმა გალერეა სრულიად ახალი ტიპებისა, რომელთაც მან გულისმომკვლელი სახელი ნაკაცრები უწოდა. ისინი მწერალმა დაგვიხატა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების მსხვერპლებად, რომელთაც სოციალისტურმა რევოლუციამ ყველაფერი წაართვა და ნაკაცრებად აქცია. გივი შადური თუ მისი აბლობელნი, თეიმურაზ ხევისთავი თუ მარგო სწორედ გარემოებათა მსხვერპლნი არიან. ისინი ტრაგიკულნი გახდნენ სწორედ რევოლუციის შედეგად. იყო კაცი და იქცე ნაკაცრად — ეს დიდი ტრაგედიაა. ამას ხატავს მწერალი და მიგვანიშნებს მათი ტრაგედიის მიზეზს, რითაც რევოლუციის უარყოფით შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას. ეს მეტყველებს მწერლის გაბედულებასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე. ესაც ახლებურად განსჯასა და შეფასებას მოითხოვს.

ქართულ ლიტერატურას არ აკლია ფსიქოლოგიური ძიებები. არაერთი ქართველი მწერალი ამ თვალსაზრისით დიდ წარმატებას აღწევს. მათ შორის მ. ჯავახიშვილი ბოლო რიგში როდი დგას. საოცარი სიღრმით სწვდება მწერალი პერსონაჟის სულიერ ცხოვრებას, მის სულიერ ხვეულებს და ყოველ მის მიმოხვრას გვიხატავს, გვიჩვენებს პერსონაჟის განცდებს, ტკივილს, წუხილს, სიხარულს. სოციალური და პოლიტიკური, ეროვნული თუ ზნეობრივი საკითხების დამუშავებისას მწერალი დიდად იყენებს ფსიქოლოგიზმს და ამით უფრო გასაგებს, უფრო ამომწურავს და დამაჯერებელს ხდის დახატული ადამიანის განცდებს, მოქმედებას, გარემოსთან და სხვა ადამიანებთან მის მიმართებას. ხოლო ისეთ ნაწარმოებში, როგორიც არის „თეთრი კურდღელი", მწერალმა შეძლო მეცნიერული ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის ცოდნაზე დაყრდნობით, მათი გამოყენებით ქალის განცდისა და ტანჯვის ისეთი ჩვენება, რომ გაოცებას ძნელად შეიკავებს მკითხველი. ყოველივე ეს საკვლევია.

რაკი განზრახულ იუბილეს ცოტა დრო გვაშორებს, ბარემ აქვე გავბედავ რამდენიმე წინადადების წამოყენებას, რათა იგი უფრო მასშტაბურად და ღირსეულად ჩატარდეს.

აუცილებლად მიმაჩნია თბილისში, ერთ თვალსაჩინო ადგილას, ქალაქის ცენტრში აღიმართოს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი, რათა ათიოდე წლის წინათ დაპირებული ახლა მაინც შესრულდეს.

სამართლიანობისა და ჩვენი საზოგადოების მაღალი ჰუმანურობის ორიგინალური გამოვლენა იქნება თუ თბილისში, მთაწმინდაზე, სადაც აუცილებლად უნდა დაკრძალულიყო მ. ჯავახიშვილი, გაითხრება მისი სიმბოლური საფლავი და მასზე დაიდგმება მწერლის ბიუსტი ან სიმბოლური ძეგლი თუ კომპოზიციური ფიგურები მისი შემოქმედების მოტივებიდან.

თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგისტრალს უნდა ეწოდოს მიხეილ ჯავახიშვილის სახელი.

სიამოვნებით აღიქვა საზოგადოებამ ის ფაქტი, რომ თავის დროზე დაწესდა ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის ლიტერატურული პრემია. სავსებით გამართლებული და უპრიანი იქნება მ. ჯავახიშვილის სახელობის ანალოგიური პრემიის შემოღება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სასურველია მწერლის სახელობის სტიპენდიის დაწესება სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის.

სოფელ წერაქვში, სადაც დაიბადა დიდი მწერალი, სოფლის კულტურის კერად უნდა იქცეს მ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი. ამას მრავალი განზომილებით აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

წინამძღვრიანთკარში, სადაც სამეურნეო სასწავლებელი დაამთავრა მ. ჯავახიშვილმა, სასურველია მის უკვდავსაყოფად თუნდაც მემორიალური დაფის გაკეთება.

თბილისში, ვერის დაღმართის № 21-ე სახლში, სადაც წლების განმავლობაში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მ. ჯავახიშვილი, უნდა მოეწყოს მწერლის მემორიალური მუზეუმი და იგი უნდა იქცეს ამ დიდი მწერლის მემკვიდრეობის შესწავლისა და პროპაგანდის კერად.

უეჭველად უნდა გამოიცეს დიდი მწერლის თხზულებათა სრული კრებული, რომელიც მრავალი ტომი [illegible] მას.

რაც [illegible] მიხეილ ჯავახიშვილის იდეები და ნალვაწი მით უფრო ახლობელი და აქტუალური ხდება საქართველოსათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი წინ უსწრებდა თავის დროს და მომავალს ნათელმხილველივით ჭვრეტდა. ასეთი უნარი იშვიათთა ხვედრია. მიხეილ ჯავახიშვილი არა მარტო მხატვრული სიტყვის დიდოსტატია, იგი არა მარტო ერის კულტურის მშვენებაა, არამედ XX საუკუნის საქართველოს იდეური წინამძღოლი და სულიერი მოძღვარიცაა.

# უფროსი მეგობრის ხსოვნას

ყოველთვის გვინდოდა გაგვემჟღავნებინა ბატონ ანდროსათვის ჩვენი სიყვარული და პატივისცემა. კაცი ბჭობდაო, ალბათ სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. სხეულთან მისი სულის გაყრის მეორმოცე დღეს გვიხდება ამ სტრიქონების წერა.

ანდრო მირიანაშვილი კარგი მკვლევარი და უღალატო მეგობარი იყო. საოცრად ფაქიზი სულის, გრძნობდა, როდის იყო შენს გვერდით საჭირო და თავისი კეთილი ღიმილითა და თბილი სიტყვით მხნეობას გვმატებდა.

სიცოცხლით სავსე, მუდამ მოუსვენარი... გვიჭირს შევეგუოთ თქვენს გარდაცვალებას... გვიჭირს შავ პერანგში წვერმოშვებული თქვენი თემურის დანახვა.

გვახსენდება ჩვენი მისვლა ლიტერატურის ინსტიტუტში. ბატონი ანდრო იყო იმ პირველთაგანი, რომელმაც გულით მიგვიღო, თანატოლივით გაგვესაუბრა და დაგვიახლოვა. არასდროს იგრძნობოდა მასთან ასაკობრივი ბარიერი. შეხვედრისას, როდესაც მოვიკითხავდით, ერთს ჩაიღიმებდა და იტყოდა, ბერიკაცის პირობაზე არა მიშავს რაო.

ერუდირებული პიროვნება, არასდროს აფიშირებდა თავის განსწავლულობას. ყოველთვის მორიდებით, მაგრამ პრინციპულად ამბობდა თავის მართალ სიტყვას. საოცარი მეხსიერების მქონე, გატაცებით საუბრობდა ლიტერატურაზე.

ბატონი ანდრო აღარ არის... კიდევ ერთი კოლორიტული პიროვნება დაკარგა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, მისმა ბირთვმა. იშვიათად შეგვხვედრია სამსახურზე ასე შეყვარებული კაცი. იგი ინსტიტუტის ნამდვილი პატრიოტი იყო. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბატონ ანდროს, მის ცხოვრებას სამი გაზრდილი ბიჭის მამობაც დაამშვენებდა.

რამდენი ლამაზი, თბილი, ღიმილიანი მოგონება შემოგვრჩა... ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, ბატონო ანდრო.

ალიკო ქურიძე,
ნუგზარ ვარდოსანიძე,
გია მათიაშვილი.

# შალვა შავიანიძის გახსენება



სურათზე: შალვა შავიანიძე (ცენტრში); ზემოთ — კოტე ჯოგლიძე.

1942 წლის 17 ოქტომბერს სუკის ჯურღმულებში 17 უნივერსიტეტელი ასპირანტი და კურსდამთავრებული დახვრიტეს. მათ შორის იყო ჩვენს ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნაუმის შვილი შალვა შავიანიძე. მასთან ერთად დახვრიტეს მეორე ქუთაისელი ზურაბ მისაბიშვილიც და კიდევ თხუთმეტი ახალგაზრდა: გიორგი ახობაძე, რომან ბათიაშვილი, დიმიტრი ბურდიაშვილი, გივი თარგამაძე, ლევან თორაძე, გიორგი, მიხეილ და სოლომონ იმერლიშვილები, მიხეილ კაციტაძე, მიხეილ საბაშვილი, გიორგი ქადაგიძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, კოტე ჯოგლიძე.

დაინტერესებული მკითხველი, 1942 წლის შეთქმულთა შესახებ ცნობებს შეუძლია გაეცნოს „ლიტერატურული საქართველოს" 1990 წლის 26 ოქტომბრის და 7 დეკემბრის, აგრეთვე, 1991 წლის 12 და 19 აპრილის ნომრებში.

შალვა შავიანიძე დაიბადა 1916 წლის მაისში, სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, იყო საუკეთესო მოსწავლე. მიუხედავად ამისა, მეექვსე კლასიდან გამორიცხეს, როგორც მღვდლის შვილი. ამ ფაქტს აღუშფოთებია ცნობილი პედაგოგი ლაზარე ხმალაძე და პროტესტის ნიშნად განუცხადებია: „თუკი ამ ბავშვს გარიცხავთ, თავს მოვიკლავო".

„თუ გინდა მამამისმაც შენთან ერთად მოიკლას თავიო" — უპასუხნიათ.

შალვა შავიანიძემ და მისმა ოჯახმა სრულად გამოსცადა ბოლშევიზმის მთელი „სიკეთე": შავსიელობა, აწიოკება, შეურაცხყოფა — 1921, 1924, 1930, 1931 წლები...

ყმაწვილს შემდეგ აღარ მისცემია საშუალება საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელებისა და კოოპერატიულ ტექნიკუმში მოუხერხებია შესვლა. ამ სასწავლებლის დირექტორი იყო ცნობილი პედაგოგი ვანო წულეისკირი, რომელიც სითბოს და მზრუნველობას არ აკლებდა ნიჭიერ მოსწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკუმი წარჩინებით დაამთავრა და როგორც ფრიადოსანს უფლება ჰქონდა უმაღლესში სწავლის გაგრძელების, ამის საშუალება მაინც არ მისცეს. ჭაბუკი იძულებული გახდა ორი წელი ბუღალტრად ემუშავა ტყიბულის სოფლებში, იგი დღემდე ახსოვთ, როგორც კეთილშობილი, ღრმად განათლებული და ნიჭიერი ფინანსისტი.

ორი წლის შემდეგ შალვა გულთბილად გააცილეს უმაღლეს სასწავლებელში ტყიბულელმა მეგობრებმა.

უნივერსიტეტში მოხდა შალვა შავიანიძის მსოფლმხედველობის დახვეწა და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ვუკოლ ბერიძე, დიმიტრი უზნაძე, ერეკლე ტატიშვილი და სხვანი. 1940 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და დატოვეს ასპირანტად ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით. შემდეგ ომი დაიწყო, შალვა შავიანიძეც შეთქმულების მონაწილე და ერთ-ერთი აქტიური წევრი აღმოჩნდა.

50 წელი ტაბუდადებული იყო 1942 წლის უნივერსიტეტელ შეთქმულთა სახელები (ამ ჯგუფში ორი-სამი არაუნივერსიტეტელიც იყო).

კოტე ჯოგლიძის უმცროსი ძმის, ტარიელის თითქმის შეუმჩნეველ ადგილას გამოქვეყნებულმა ტკივილმა, ბოლმასავით გადმოხეთქა და ბევრი ქართველის სულის ღრმა კუნჭულებში შეაღწია („ლიტერატურული საქართველო", 1990, 5 ოქტომბერი).

ადამიანის გონებას საფლავის ქვასავით ღრღნის ფიქრი დავიწყებული სახელებისა. ეს მარტო ახლობლების ტრაგედია როდია, ეს ყველას თანაბარი საწუხარია. თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ, სულიერად, გონებრივად და გარეგნულად ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ 1942 წლის შეთქმულების მონაწილენიო.

მადლობა როსტომ ჩხეიძეს უაღრესად თბილი, კვალიფიციური წერილისათვის, „უსამართლო თავდასხმის წინააღმდეგ" („ლიტერატურული საქართველო", 1990, 26 ოქტომბერი). იქვე დაბეჭდილ კიდევ ერთ წერილს, ჩემი აზრით, ხელს აწერენ უსამართლოდ დასჯილი ბიჭების ახლობლები.

მოგვიანებით ქართველ მწერალთა გაზეთმა გამოაქვეყნა ლეო კვაჭაძისა და თინათინ თუშმალიშვილის წერილები. ესენიც დაპატიმრებულნი იყვნენ და პირად შთაბეჭდილებებს ეყრდნობიან.

თინათინ თუშმალიშვილი წერს: კოტე ჯოგლიძე და შალვა შავიანიძე ამ შეთქმულების აქტიური წევრები — ხელმძღვანელები იყვნენო.

1942 წლის შეთქმულების ირგვლივ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა და იქნებ ჩემი პუბლიკაცია ოდნავ მაინც წაადგეს საქმეს.

დღეს, საქართველოს ქალაქებში, მემორიალების აგებით გვსურს უკვდავვყოთ ჩვენთვის დაუვიწყარი თარიღები, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ეს მოხაგონარი დღეები უნივერსიტეტის ან უსამართლო მსხვერპლთა სახელზე შემოწირულობებით აგებულ ეკლესიაში აღგვენიშნა?!

შალვა შავიანიძეს ცოტა რამ დარჩა: უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების დიპლომი, მოხსენების თეზისები „მერანის" შესახებ, დისერტაციის მონახაზი და ძლიერ მცირე ჩანაწერები... აგრეთვე საპატიმროდან გამოგზავნილი ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ბარათი;

„დედიკო, დეიდა!"

მე დახვრეტა მომისაჯეს. თუ რაიმეს მოახერხებთ, კარგია. დეპეშა გააგზავნეთ მოსკოვში (სტალინთან და კალინინთან). მე კარგად ვარ, ნუ იდარდებთ. შეწყალების უფლება მაქვს. ამის მომტანს 100 მანეთი გამოვართვი და მიეცით.

გკოცნით ყველას
თქვენი შ. შავიანიძე"

იმედი არ გამართლდა.

ახლობლებს დიდხანს მაინც არ სჯეროდათ და ცოცხლად თვლიდნენ. ალბათ, ამიტომ ჩემი ბავშვობის მეგობარმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ოთარ შავიანიძემ 18 წლის ჭაბუკმა წააწერა „დიდოსტატის მარჯვენაზე": „ჩემი საყვარელი ძმის ჭირთაყოფნისას მარად მოგონებისა. ჩვენი ცხოვრებაც ხომ საპყრობილეა, საპყრობილეში საპყრობილე რაღა იქნება". თმა ყალყზე დამიდგა, როცა ეს წარწერა ვიხილე.

მოგვიანებით შალვას მამამ, მიტროპოლიტმა ნაუმმა, გადაწყვიტა წესის აგების რიტუალი შეესრულებინა. ამის გამო უსიამოვნებაც მოხდა ოჯახში, დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა დაეჯერებინა შვილის სიკვდილი. მამა ამშვიდებდა: თუ ცოცხალია, ეს არ ავნებს, თუ არადა წესაუგებელ მიცვალებულს იმ ქვეყანად გაუჭირდება, ან მე რა პირით შევხვდეო.

ნაუმი იგონებდა: კორნელი კეკელიძემ მომინახულა და ცრემლმორეულმა მითხრა: „შენი ბიჭი ჩემს მოწაფეებს შორის გამორჩეული იყოო".

ჩვენს ცხოვრებაში უკვე დამკვიდრდა 17 სიკვდილმისჯილის, საქართველოს გადარჩენისათვის თავდადებულთა სახელები.

მწამს და მჯერა, რომ „მათ ხსოვნას სამშობლო სანთლებად აანთებს".

გივი მეფისაშვილი

მთავარი რედაქტორი ხოსო სიგუა
სარედაქციო საბჭო
თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
მამუკა წიკლაური (პოეზიისა და პროზის განყოფილების რედაქტორი)
ივანე ამირხანაშვილი (კრიტიკის განყოფილების რედაქტორი)
უჩა ზერაზადიშვილი (პუბლიცისტიკის განყოფილების რედაქტორი)
ჯუმბერ თითმერია (ხელოვნების განყოფილების რედაქტორი)
ანდრო ბუდუკაძე (ინფორმაციისა და თარგმანის განყოფილების რედაქტორი)
მურმან ჩაჩუა (ილუსტრაციის განყოფილების რედაქტორი)
მორიგე რედაქტორი უჩა ზერაზადიშვილი.



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი,
ჭავჭავაძის
ქუჩა 19-ე 22
ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილე — 99-91-89.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-63; კრიტიკის, პუბლიცისტიკის — 99-03-65; ინფორმაციისა და თარგმანის — 98-36-68; ხელოვნების — 99-72-89.
ბუღალტერია — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო
„LITERATURULI SAKARTVELO"
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ქართულ ენაზე


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.